ახალი განათლება

27 აპრილი – 3 მაისი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№15 (769) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

მეტი შესაძლებლობა უცხოელ სტუდენტებს

ვმასპინძლობთ საქართველოს წარმომადგენლებს და ვიმედოვნებთ, მათი ვიზიტი წარმატებულად ჩაივლის. ვხედავთ, რომ საქართველოს სტენდი ძალიან აქტიურია დამთვალიერებლებისთვის.

ვფიქრობ, ბევრი უცხოელი სტუდენტი დაინტერესდება ამ პროგრამით და მათთვის საქართველო განათლების მიღებისთვის სასურველი ადგილი გახდება.

ანსელმ კოლინო,
საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენის დირექტორი

გვერდი 4

თეოლოგობა – ერთგვარი ხიდი დაცემულ ადამიანსა და ღმერთს შორის

ძალიან მომწონს აქაური სტუდენტური ცხოვრება, სწორედ იმიტომ, რომ ის მრავალფეროვანია. დიდი არჩევანია და ამ არჩევანში სრულიად თავისუფალი ხარ. შენი პიროვნებაც ამ თავისუფლებაში იზრდება – მარტომყოფი, საკუთარ თავთან დარჩენილი, ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე. ერკვევი იმაში, რა გინდა, რა არის შენთვის პრიორიტეტული.

ირაკლი ჯინჯოლავა, *მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანეს უნივერსიტეტის დოქტორანტი*

საკანონმდებლო ცვლილებები

ჩვენ ვდგამთ პროგრესულ ნაბიჯს, რომელიც, დეცენტრალიზაციისა და დივერსიფიკაციის საშუალებით, მოგვცემს შესაძლებლობას, გავაჯანსაღოთ არსებული სისტემა.

მარიამ ჯაში

გვერდი 2

წიგნის თარო — მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის



პროფესიული უნარების სახელმძღვანელო

დაგეხმარებათ დამოუკიდებლად მოემზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

თემატიკა: გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი – 15 ლარი მიმდინარეობს ხელმოწერა

CMYK

საკანონმდებლო ცვლილებები

სტუდენტთა უფლებების დაცვის უკეთესი მექანიზმი

„ჩვენ ვდგამთ პროგრესულ ნაბიჯს, რომელიც, დეცენტრალიზაციისა და დივერსიფიკაციის საშუალებით, მოგვცემს შესაძლებლობას, გავაჯანსაღოთ არსებული სისტემა.“

მარიამ ჯაში

21 აპრილს საქართველოს პარლამენტმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტს პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა.

რა განსაკუთრებული სიახლეებია და რამდენად მოიცავს კანონპროექტი სტუდენტების მოთხოვნებს, ამის შესახებ ისაუბრა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, **მარიამ ჯაშმა**, კანონში შესატანი ცვლილებების განხილვისას პარლამენტში და კოლეგების შეკითხვებს უპასუხა. როგორც მან განაცხადა, ცვლილებები ოთხი ძირითადი ბლოკისგან შედგება, რომელიც ოთხი ნოვაციის ირგვლივაა ჩამოყალიბებული.

„დამოუკიდებელ სტუდენტს, რომელსაც შეიძლება არ ჰქონდეს სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის სურვილი, მაგრამ ჰქონდეს ძალიან ღირებული მოსაზრებები უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის მმართველობით საკითხებთან დაკავშირებით, უნდა მიეცეს უფლება იყოს არჩეული – ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სტუდენტების მხრიდანაც; მეორე საკითხი – ყველა საფეხურის სტუდენტს ჰქონდეს უფლება (როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის და დოქტორანტურის), იყოს არჩეული როგორც ფაკულტატურ საბჭოებში, ისე სენატში; აღნიშნული დაფინანსების სისტემების ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა – ეს არის მესამე ძირითადი ცვლილება, ასევე ნოვაცია, რომელიც აღნიშნულ კანონპროექტს დღეს არსებული სისტემებისგან განასხვავებს; მეოთხე მთავარი მოთხოვნა სტუდენტური თვითმმართველობების გაუქმებას ეხება. გავითვალისწინეთ საქართველოში არსებული სისტემა. ბუნებრივია, ერთმა ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს არსებული სისტემების სრული პარალიზება და ქაოსი, ამიტომ ოპტიმალურ ვარიანტად მივიჩნიეთ არა გაუქმება, არამედ მაქსიმალური დეცენტრალიზაცია, გადაწყვეტილების მიღების უფლება უნივერსიტეტების დონეზე.“

როგორც განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რჩება სამი ძირითადი საკითხი, რომლებზეც მომდევნო მოსმენისას უნდა შეჯერდნენ.

„რჩება სამი ძირითადი საკითხი: პირველი – არჩევნების რიგითობასთან დაკავშირებული, რამდენად შეუძლია ერთი და იმავე სტუდენტს ორჯერ ზედიზედ იყოს არჩეული, ბაკალავრიატის დონეზე, თვითმმართველობისა თუ ფაკულტატურ საბჭოებში; მეორე თემაა შეზღუდვა – ერთი და იმავე სტუდენტს არ მიეცეს უფლება, ერთდროულად იყოს არჩეული ფაკულტატურ საბჭოებსა და სენატში; მესამე – იმისთვის, რომ თვითმმართველობისა და სხვა სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობა ჭეშმარიტად უფლებების დაცვაზე იყოს ორიენტირებული, აღნიშნული ორგანიზაციის შემადგენლობაში მხოლოდ არჩეული წევრები იყვნენ, ხოლო სხვა კლუბებსა თუ ასოციაციებში გაერთიანების უფლება არ იზღუდება და, ბუნებრივია, არჩევანის საშუალება რჩებათ სტუდენტებს“. მისივე თქმით, სამი საკითხიდან ორი, პრაქტიკულად შეჯერებადია: *„მართალია, არ არის პრინციპული პოზიციები, მაგრამ წევრობის შემადგენლობასთან დაკავშირებით ჩვენ დამატებითი კითხვები გვექნება“.*

მარიამ ჯაში მიიჩნევს, რომ: *„დღეს არსებული კანონპროექტი მისაღებია როგორც სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობისთვის, ასევე აუდიტორია 115-ის წევრებისთვის და თუკი დარჩენილ სამ საკითხზეც შეჯერდებით ,ეს იქნება ის კანონპროექტი, რომელიც მოგვცემს უფლებების დაცვის უკეთეს მექანიზმს თითოეული სტუდენტისთვის და ახალგაზრდა თაობისთვის მისაღები იქნება.“*

მიზეზი, რის გამოც გაიმართა საპროტესტო აქციები და რამაც გამოიწვია აღნიშნული ცვლილებების პაკეტის შემუშავება, 2004 წელს მიღებული ჩანაწერია უმაღლესი განათლების კანონში, რომელიც სწორედ კანონმდებლობის დონეზე ქმნიდა სტუდენტური თვიმმართველობების პრაქტიკულად ცენტრალიზებულ სისტემას – ამბობს მარიამ ჯაში და დასძენს, რომ არსებულ რეალობაში მაქსიმალურად მოხერხდა ამ პროცესების დეპოლიტიზაცია. *„ზუსტად ცენტრალურმა ასოციაციამ გამოიწვია აღნიშნული სისტემის ერთგვარი არასახარბიელო იმიჯის ჩამოყალიბება სტუდენტურ თვითმმართველობებთან დაკავშირებით. ჩვენი მცდელობა, რომ მოხდეს დეცენტრალიზაცია, ისევ კანონის დონეზე, ის პროგრესული ცვლილებაა, რომელიც შეგვიძლია, შემოვიტანოთ საქართველოს კანონმდებლობაში. ბუნებრივია, უმაღლესი განათლების კანონში ეს ჩანაწერი რომ არ გვქონოდა, საკითხი სტუდენტური თვიმმართველობის რეგულირების თაობაზე, კანონის დონეზე, ნამდვილად არ დადგებოდა დღის წესრიგში. ამ ცვლილებებით ვცდილობთ არსებული სისტემის გაჯანსაღებას, დივერსიფიკაციისა და დეცენტრალიზაციის პირობებში, სტუდენტების უფლებებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებას.“*

იქნება თუ არა არსებული თვითმმართველობების ალტერნატივა თვითმმართველობის კლუბური სისტემა ან ასოციაციები – ამის შესახებ მარიამ ჯაშმა განაცხადა, რომ: *„დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, მთლიანად რომ გაუქმებულიყო თვითმმართველობები, ამით ბევრად უფრო მეტ პრობლემას შევქმნიდით უნივერსიტეტების დონეზე. წამყვანი სტუდენტური ორგანიზაცია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს თვითმმართველობა ან პარლამენტი, კლუბი, ისე როგორც სხვადასხვა ქვეყნებშია, უშუალოდ უნივერსიტეტის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდება და იფუნქციონირებს. ერთი წამყვანი სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანო დარჩება, თუმცა, იარსებებს სხვა კლუბები და ასოციაციებიც, ისევე როგორც დღეს, მაგრამ მათ არ მიენიჭებათ თვითმმართველობის და სტუდენტთა უფლებების დაცვის წამყვანი ორგანოს სტატუსი.“*

მარიამ ჯაში არ გამორიცხავს, რომ **მეორე მოსმენისთვის შეიძლება უფრო აქტიურად განიხილონ საარჩევნო სისტემა**. *„ჩემთვის ნამდვილად არასასიამოვნო აღმოჩენა იყო, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტატურ საბჭოში ოთხასზე მეტი წევრია, მათ შორის, 100-ზე მეტი სტუდენტია.*

უბრალოდ, საინტერესოა, ასეთი მოცულობითი და მასშტაბური შემადგენლობით, როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება. შესაბამისად, ეს ის საკითხია, რომელიც მეორე მოსმენით უნდა განვიხილოთ.“

რაც შეეხება არჩევნების ლეგიტიმურობას, კონკრეტული უნივერსიტეტების და კონკრეტული ფაკულტეტების დონეზე, სულ მცირე, სტუდენტების საერთო რაოდენობის 10%-მა უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, რომ ლეგიტიმურად გამოცხადდეს, ხოლო უპირატესობა იმ კანდიდატებს მიენიჭებათ, რომლებიც უმაღლეს პროცენტულ მხარდაჭერას მოიპოვებენ.

დაზუსტებისთვის, მარიამ ჯაშმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კლუბური და სხვადასხვა ასოციაციების სისტემები, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წარმომადგენლობით იქნება არჩეული (რა მოცულობის), არ გახლავთ სტუდენტური თვითმმართველობისა და წამყვანი წარმომადგენლობითი ორგანოს ალტერნატივა. *„უნივერსიტეტების დონეზე დარჩება ერთი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც შეიძლება ერქვას სტუდენტური თვითმმართველობა ან პარლამენტი, მაგრამ, რაც მთავარია, ის იქნება წარმომადგენლობითი ფუნქციის მატარებელი და სტუდენტების უფლებებზე ორიენტირებული თვითმმართველობის ორგანო.“* – განაცხადა მან.

კომიტეტის თავმჯდომარემ დაფინანსების საკითხი ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ თემად დაასახელა, რომელმაც, ზოგადად, აზრთა სხვადასხვაობა გააჩინა და შემდგომში საკმაოდ რთული მოვლენებიც წარმოშვა უნივერსიტეტში. მისი განმარტებით, წამყვანი სტუდენტური ორგანიზაციის დაფინანსების საკითხს უშუალოდ უნივერსიტეტი განსაზღვრავს, ხოლო სხვა ნებისმიერი ღონისძიებისთვის, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული სტუდენტების ერთობლივ ან ინდივიდუალურ ინიციატივებთან (იქნება ეს კულტურული, შემეცნებითი, სპორტული თუ სხვა ტიპის ორგანიზაცია), ნებისმიერ სტუდენტს ექნება აღნიშნულ რესურსებთან თანაბარი წვდომის შესაძლებლობა, ბუნებრივია, შესაბამისი შერჩევის კრიტერიუმებზე დაფუძნებით.

„ჩვენ ვდგამთ პროგრესულ ნაბიჯს, რომელიც, დეცენტრალიზაციისა და დივერსიფიკაციის საშუალებით, მოგვცემს შესაძლებლობას, გავაჯანსაღოთ არსებული სისტემა. თავად სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც სისტემა, უკვე მიღწევაა როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსი, ისე ზოგადად განვითარებული პროცესების“ – მიიჩნევს მარიამ ჯაში, იმავდროულად, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად სწორად ასრულებენ წარმომადგენლობითი ორგანიზაციები მათზე დაკისრებულ მოვალეობას. *„უმნიშვნელოვანესია, რომ სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანიზაციები სწორად ასრულებდნენ მათ მთავარ ვალდებულებას წარმომადგენლობითობის და უფლებების დაცვის კუთხით. რაც მთავარია, მათ არ უნდა შეეხოთ დაფინანსების ან სხვა შესაძლებლობის პრივილეგიები, რათა ამით ჩრდილი არ მიადგეს ამ მნიშვნელოვან ინსტიტუტს. ამ ეტაპზე, ჩვენ ვდგამთ ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯს, თუმცა, არ გამოვრიცხავთ, რომ მომავალში, დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად, განხორციელდეს შემდგომი ცვლილებები კანონის დონეზე.“*

ხელმისაწვდომი განათლება და კულტურული ცხოვრება

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი განათლებისა და კულტურული ცხოვრების საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობს.

11 აპრილს კომიტეტმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობელთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მშობლებთან, გაფართოებული სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კომიტეტის თავმჯდომარის, **მარიამ ჯაშის** განცხადებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მშობლებმა ყველაზე კარგად იციან რა ცვლილებებია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მათი შვილებისთვის სხვადასხვა დონეზე. *„ეს ფორმატი შესაძლებლობას იძლევა, განვიხილოთ რა ინიციატივები უნდა განხორციელდეს ინკლუზიური განათლების სფეროსა და კულტურის სფეროში. ზოგად და პროფესიულ განათლებაში უკვე დაიწყო ახალი ინიციატივების განხორციელება. 7000-მდე სტუდენტი სწავლობს სკოლასა და პროფესიულ სასწავლებელში, თუმცა, სკოლამდელ და უმაღლესი განათლების დონეზე ჩვენ არ გვაქვს დიდი პროგრესი.“*

შეხვედრაზე სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე არსებულ კონკრეტულ პრობლემებზე იმსჯელეს. ხელმისაწვდომი განათლების სისტემისა და კულტურული ცხოვრების საკანონმდებლო ცვლილებების პრეზენტაცია კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ იურისტმა, **ქეთევან მარგალიტაძემ** წარმოადგინა. *„ჩვენი მიზანია, განათლებისა და კულტურის სფეროში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გარანტირებული იყოს სრული და ქმედითი მონაწილეობა და ინტეგრაცია, თანასწორი შესაძლებლობები და ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილი იყოს განსხვავებულობის პატივისცემა,“* – განაცხადა ქეთევან მარგალიტაძემ.

დეპუტატებმა მშობლებთან ერთად იმსჯელეს, თუ როგორ უნდა გახდეს კულტურის სფეროს დაწესებულებები – კინოთეატრები, საგამოფენო დარბაზები და მუზეუმები – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულად, არამედ პროგრამულად; ისაუბრეს სპეცპედაგოგებზე, როგორ შეიძლება მათი პროფესიული მოტივაციის ამაღლება; გამოთქვეს მოსაზრებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავების აუცილებლობაზე.

20 აპრილს კომიტეტმა განახლა მუშაობა შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი განათლებისა და კულტურული ცხოვრების საკანონმდებლო ცვლილებებზე და შშმ პირთა მშობლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გაფართოებული სამუშაო შეხვედრა გამართა.

კომიტეტის თავმჯდომარის, მარიამ ჯაშის განცხადებით, ზოგად და პროფესიულ განათლებაში უკვე დაიწყო ახალი ინიციატივების განხორციელება. მისი თქმით, საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა 4 ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს: სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ეტაპებზე. მისივე განმარტებით, კომიტეტი იმაზეც მუშაობს, როგორ უზრუნველყოს სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განათლების მიღების უფლების რეალიზება ყველა საფეხურზე განათლების ინკლუზიური დანერგვით.

შეხვედრაზე სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე არსებულ პრობლემებზე იმსჯელეს. განათლების და კულტურის სფეროების მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებები კომიტეტს შშმ პირთა ასოციაციის დამფუძნებელმა, **ხათუნა ჯავახაძემ** გააცნო. მისი ინფორმაციით, საკანონმდებლო ცვლილებები მომზადებულია შშმ პირთა მშობლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პედაგოგების მოსაზრებებისა და წინადადებების საფუძველზე და უზრუნველყოფს, განათლებისა და კულტურის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ეფექტურ იმპლემენტაციას. ასოციაციის დამფუძნებელმა ტერმინოლოგიურ ცვლილებებზეც ისაუბრა. მას მიაჩნია, რომ რამდენიმე ტერმინის ჩანაცვლება უნდა მოხდეს უფრო პოზიტიური ტერმინით.

ასოციაციის ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ სპეციალური მასწავლებლისთვის უნდა შეიქმნას სრულფასოვანი პირობები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთან სამუშაოდ; გარდა ამისა, სპეციალური მასწავლებლის სტატუსი გაუთანაბრდეს საჯარო სკოლის მასწავლებლის სტატუსს და შესაძლებელი გახდეს მათი ჩართვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში. საჭიროა სკოლებში მოეწყოს შშმ ბავშვებისთვის ადაპტირებული გარემო: პანდუსები და სველი წერტილები. უმაღლესი განათლების ეტაპზე შემოთავაზებული ცვლილებით, სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს შშმ სტუდენტის დამხმარე პირი, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისას.

ასოციაციის ინფორმაციით, არსებობს მშობელთა გარკვეული კატეგორია, რომელთაც უჭირთ იმის აღიარება, რომ მათ შვილებს განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ და ეწინააღმდეგებიან მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობას. შემოთავაზებული რეკომენდაციით, აუცილებელია კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რომელიც განსაზღვრავს მშობლის როლს და პასუხისმგებლობას აღნიშნული მიმართულებით.

25 აპრილს აღნიშნულ თემაზე ისევ გაიმართება შეხვედრა. სავარაუდოდ, კანონპროექტის საბოლოო სახე 10 მაისამდე იქნება შემუშავებული.

მასალა მოამზადა ლალი ჯელაძემ

კავკასიის უნივერსიტეტი

CSL
კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW

კავკასიის სამართლის სკოლა
აცხადებს კონკურსს
პროფესორის (6 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (12 ვაკანტური ადგილი) თანამდებობის დასაკავებლად

შემდეგ დისციპლინაში:

- კერძო სამართალი (1 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი)
- საჯარო სამართალი (2 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი)
- სისხლის სამართალი (2 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი)
- საერთაშორისო სამართალი (1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი)

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- კურსის სილაბუსი;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში – ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში – დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები);
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge
გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

საბუთების მიღება: 2017 წლის 27 მაისიდან 27 ივნისის ჩათვლით

ინფორმაცია

უნგრეთში სწავლას 80 ქართველი სტუდენტი შეძლებს

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით უნგრეთის პრემიერ-მინისტრი **ვიქტორ ორბანი** ეწვია. მას აეროპორტში დახვდნენ: ვიცე-პრემიერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა**, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **მიხეილ ჯანელიძე** და უნგრეთში საქართველოს ელჩი **ზაზა კანდელაკი**.

უნგრეთის რესპუბლიკის დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი **ვიქტორ ორბანი** ხელმძღვანელობდა, იმყოფებოდნენ: უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრი **პიტერ სიიარტო**, ეროვნული ეკონომიკის მინისტრი **მიჰაი ვარგა**, ადამიანური რესურსების მინისტრი **ზოლტან ბალოგი**, სოფლის მეურნეობის მინისტრი **შანდორ ფაზეკაში**, ეროვნული განვითარების სამინისტროს ენერგეტიკის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი **ანდრაშ არადსკი** და პრემიერ-მინისტრის კაბინეტის უფროსი **იანოშ ნაგი**.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ხელი მოეწერა ოფიციალურ დოკუმენტებს. უნგრეთის დელეგაციამ საქართველო-უნგრეთის ბიზნესფორუმში მიიღო მონაწილეობა, რომელიც თბილისში სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა. ფორუმის მონაწილეებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** მიმართეს.

„ჩვენი გამოცდილებით ვიცით, რომ განათლებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ახალი ინვესტიციები განათლების მაღალი დონიდან გამომდინარეობს. ისეთმა პატარა ქვეყნებმა, როგორიც საქართველო და უნგრეთია, ეს შესაძლებლობა კარგად უნდა გამოიყენონ, – განაცხადა ვიქტორ ორბანმა – *საქართველო გახლავთ ქვეყანა, რომელიც ფიქრობს მომავალ ურთიერთობებზე. ჩვენ გვსურს, რომ ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ იმავე გზით* – განაცხადა უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა – *ამ ქვეყნის ამბიციები ძალიან ჰგავს ჩვენს ამბიციებს. უნგრეთი მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას, დაუახლოვდეს ევროკავშირს. ფინანსური საკითხებიც გათვალიწინებულია, სამართლებრივი პირობებიც უზრუნველყოფილი. ჩვენ დავაჩქარებთ პროცესებს, რომ 100%-იანი უსაფრთხოება იყოს ინვესტიციების თვალსაზრისით. არის შესაძლებლობა, რომ უფრო მეტად დავუახლოვდეთ ერთმანეთს.*

ყოველწლიურად, 50-ის ნაცვლად, 80 სტუდენტი შეძლებს, ჩამოვიდეს უნგრეთში და მიიღოს განათლება. ასევე ვაპირებთ, სკოლის მოსწავლეები მოვიწვიოთ სოფლის მეურნეობის საკითხების შესასწავლად.“

ცნობილი გახდა, რომ ქართველი სტუდენტებისთვის განკუთვნილი სტიპენდიების მოცულობაც გაიზრდება.

2017-2020 წლებისთვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უნგრეთის მთავრობის ადამიანური რესურსების სამინისტროს შორის, საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით შეთანხმების თანახმად, უნგრეთის მხარე ქართულ მხარეს შესთავაზებს სასწავლო სტიპენდიას წელიწადში 80 ქართველი სტუდენტის უნგრეთში სწავლის გასაგრძელებლად ნებისმიერ სფეროში, პირველ რიგში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სფეროში, კერძოდ, მათემატიკასა და ბიოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, სოფლის მეურნეობის სფეროში, ინჟინერიასა და ტექნოლოგიებში, სოციალურ მეცნიერებებში, სამედიცინო სფეროში, კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის მეცნიერებებში და სპორტის და ხელოვნების სფეროებში.

უნგრეთის პრემიერის თქმით, საქართველოში ვიზიტის მზადების პროცესში აღმოაჩინა რამდენიმე სიტყვა, რომელიც ორივე ენაში ერთნაირია, მათ შორის – *ხიდი* და *თეფში.*

ვიქტორ ორბანის საქართველოში ვიზიტის პარალელურად, თავისუფლების მოედანზე, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დახურვის მხარდამჭერებისა და მოწინააღმდეგეების აქცია გაიმართა. ისინი ბიზნესფორუმზე მისულ უნგრეთის პრემიერ-მინისტრს დახვდნენ. ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის დახურვის მომხრეები ორბანს ტაშითა და ოვაციებით შეეგებნენ, ხოლო მოწინააღმდეგეები – სტვენითა და შეძახილებით. შეგახსენებთ, რომ უნგრეთის პარლამენტმა კენჭი უყარა და დაამტკიცა კანონი იმ უნივერსიტეტების ფუნქციონირების შესახებ, რომლებიც არ არის ევროკავშირის ქვეყნებში დაფუძნებული. 123 ხმით 38-ის წინააღმდეგ ქვეყნის პარლამენტმა მხარი დაუჭირა განათლების შესახებ კანონში განახლებულ რეგულაციებს. კანონის მიღების შედეგად, შესაძლოა დაიხუროს ბუდაპეშტში მოქმედი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი.

საერთაშორისო გამოფენა

„ვისწავლოთ საქართველოში“ – მეტი შესაძლებლობა უცხოელ სტუდენტებს

არაბეთის გაერთიანებულ საემიროში, ქალაქ დუბაიში, საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პირველად წარდგა პროექტით „ვისწავლოთ საქართველოში“, რომელსაც საქართველო უცხოეთში სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტებს სთავაზობს. გამოფენაზე მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის 130-მდე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყო წარმოდგენილი, მათ შორის იყო საქართველოს რვა უნივერსიტეტი: 4 სახელმწიფო და 4 კერძო. ქართული უმაღლესი სასწავლებლების შეთავაზებას – სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობას – დამთვალიერებლებს ორი სტენდი აცნობდა. დაინტერესება საკმაოდ მაღალი იყო, უცხოელ სტუდენტებს უნივერსიტეტების წარმომადგენლები იმ პერსპექტივებზე ესაუბრებოდნენ, რომელიც საქართველოში სწავლას აქვს.

„დარწმუნებული ვარ, როგორც სამედიცინო, ასევე ბიზნესის, ინჟინერიის, ფიზიკა-ქიმიის, ტექნიკური საგნების მიმართულებით, ჩვენი შეთავაზება ძალიან კონკურენტულია. სტენდიც ძალიან მომეწონა, ადგილიც და აქტივობაც აჩვენებს, რომ ჩვენმა მონაწილეობამ ამ ღონისძიებაში უკვე გაამართლა. – უთხრა ჟურნალისტებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **ალექსანდრე ჯეჯელავამ**, რომელიც ღონისძიების გახსნას დაესწრო – *ამ გამოფენაზე წარმოდგენილია არა მარტო ახლო აღმოსავლეთი, აქ არის კანადის, შეერთებული შტატების ძალიან სერიოზული უნივერსიტეტები. მჯერა, რომ ჩვენ კონკურენტული ვართ. მართალია შეფუთვა გვაკლია, არ ბრჭყვინავს ჩვენი პროექტი, თორემ შინაარსობრივად ძალიან კარგია.“*

თეიმურაზ მურღულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„ჩვენ დავისახეთ ამოცანად, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს, მეტ სტუდენტს გავაცნოთ საქართველო. ძალიან მაღალი ხარისხის განათლება გვაქვს, ასევე, კომფორტული ცხოვრების პირობები, ამიტომ გვინდა, ბევრი სტუდენტი მოვიზიდოთ საქართველოში.*

საქართველოს წარმომადგენლობა დუბაის საგანმანათლებლო გამოფენაზე უკვე ძალიან დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. პირველ რიგში, ქვეყანა დაფიქსირდა, როგორც განათლების ცენტრი, სხვა მნიშვნელოვან ქვეყნებთან ერთად, მათთან ერთ რიგში. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი წარმატებაა. მინიმუმ, 600 სტუდენტი დარეგისტრირდა, მათ საქართველოს მიმართ ინტერესი გამოხატეს და, რაც მთავარია, თავად უნივერსიტეტებს ჰქონდათ ძალიან ბევრი შემოთავაზება, რაც, ჯამში, გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ინტერესი კიდევ უფრო გაიზრდება, შედეგები იქნება. გარდა იმისა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ისწავლის საქართველოში, მათი მშობლები, მათი გარემო დაინტერესდება საქართველოში ვიზიტით, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. იმ სტუდენტების მშობლები, რომლებსაც სასწავლებლად ვიწვევთ, ამბობენ, ჩვენც ჩამოვალთ საქართველოში, გვინდა ვნახოთ, სად იანავლიან ჩვენი შვილები. ეს ყველაფერი ერთად ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

კიდევ არაერთ გამოფენაში მივიღებთ მონაწილეობას, მაგრამ ეს გამოფენა პირველი და მნიშვნელოვანი იყო, რადგან მოგვცა საფუძველი, ვიყოთ ოპტიმისტები.“

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში 10 000-მდე საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს. განათლების სამინისტრო აპირებს, მათი რაოდენობა რამდენიმე ათასით გაზარდოს. ძალიან კარგი ტენდენციაა – ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი რაოდენობა. ჩვენი ქვეყნის მიმართ ინტერესი სულ უფრო და უფრო მაღალია.

ნიკოლოზ მელქაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: *„პირველად ვიღებთ მსგავს გამოფენაში მონაწილეობას და ძალიან კმაყოფილები ვართ. უკვე ძალიან ბევრ პოტენციურ სტუდენტს ვესაუბრე, ასევე მშობლებს, რომელთა შვილებსაც უნდათ საზღვარგარეთ სწავლა, არჩეული აქვთ საქართველო ან ფიქრობენ აირჩიონ საქართველო. მომავალშიც აუცილებლად მივიღებთ მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობას.“*

ელენე ალადაშვილი, სან დიეგოს უნივერსიტეტი საქართველოში: *„ძალიან წარმატებული ღონისძიება გამოვიდა, კმაყოფილები ვართ. საქართველო იცის აბსოლუტურად ყველამ, ნამყოფები არიან, მათთვის ცნობილია საქართველოს უნივერსიტეტები. უკვე დავარეგისტრირეთ რამდენიმე ასეული პოტენციური სტუდენტი და მათ შორის ძალიან დიდი ნაწილი რეალური სტუდენტია. განსაკუთრებით პოპულარულია საინჟინრო პროგრამები, სამედიცინო, სხვადასხვა მეცნიერებები, აგრეთვე, ბიზნეს ადმინისტრირება და სხვ. ყველა პროგრამა ძალიან საინტერესოდაა წარმოდგენილი ამ გამოფენაზე. ჩვენ აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას მომავალ მსგავს ღონისძიებებში იმისთვის, რომ საქართველოში უფრო მეტი საერთაშორისო სტუდენტი ჩამოვიდეს და საქართველომ დაიმკვიდროს სახელი, როგორც მაღალი დონის განათლების მიღების ახალმა მიმართულებამ.“*

ქეთევან ბოიკო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: *„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მოხარულია, რომ საშუალება მიეცა, მონაწილეობა მიეღო, პროექტის „Study in Georgia“ ფარგლებში, დუბაის საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაზე. ჩვენ მუდმივად მხარს დავუჭერთ მსგავს ინიციატივას და მოხარული ვართ, რომ სამინისტრო, ამ კუთხით, ხელს უწყობს უნივერსიტეტებს, საშუალებას გვაძლევს, რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა მივცეთ უცხოელ სტუდენტებს, შევთავაზოთ ჩვენი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. მსგავსი ინიციატივა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციას და, ამავდროულად, საერთაშორისო და მულტიკულტურული გარემოს განვითარებას.*

სამივე დღე საკმაოდ დატვირთული იყო. ბევრი მონაწილე დაინტერესდა საქართველოში სწავლით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ოდენობის ადამიანების ყურადღება დავიმსახურეთ მთელი სამი დღის განმავლობაში.“

კენ ვოულში, საქართველოში სან დიეგოს უნივერსიტეტის დეკანი: *„როგორც ვხედავთ, სტუდენტები ძალიან დაინტერესებულები არიან. ჩვენი გზავნილი აქ ისეთივეა, როგორც საქართველოში – სტუდენტებს ვთავაზობთ ამერიკულ დიპლომს ბევრად იაფად, ვიდრე შეერთებულ შტატებში. დარწმუნებული ვარ, ბევრ სტუდენტს დავაინტერესებთ.“*

ხათუნა თოდაძე, სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი: *„მაქსიმალურად ვცდილობთ არა მარტო აზიის, არამედ ევროპის ქვეყნებიდან მოვიზიდოთ სტუდენტები. ჩვენ გვყავს სტუდენტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სამხრეთ ამერიკიდან, აფრიკიდან და ა.შ. ვცდილობთ, გავაფართოოთ კონტინგენტი.“*

დუბაის საერთაშორისო გამოფენაზე წარმოდგენილი ქართული უნივერსიტეტების მიზანი არა მარტო უცხოელი სტუდენტების საქართველოში ჩამოყვანა, არამედ სპეციალურ სააგენტოებთან თანამშრომლობაც იყო.

საინტერესოა, თუ როგორ აფასებენ უცხოელი ექსპერტები პროექტს „ვისწავლოთ საქართველოში“:

ანსელმ კოდინო, საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენის დირექტორი: *„მოხარულები ვართ, რომ პროექტი „ვისწავლოთ საქართველოში“ წარმოდგენილია ჩვენს საგანმანათლებლო გამოფენაზე. ვმასპინძლობთ საქართველოს წარმომადგენლებს და ვიმედოვნებთ, მათი ვიზიტი წარმატებულად ჩაივლის. ვხედავთ, რომ საქართველოს სტენდი ძალიან აქტიურია დამთვალიერებლებისთვის.*

საქართველოში განათლების მიღება საკმაოდ მიმზიდველია უცხოელი სტუდენტებისთვის, ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში განსხვავებული კულტურის და ეროვნების სტუდენტები სწავლობენ. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო ძალიან მიმზიდველ და ხელმისაწვდომ სამედიცინო და პროფესიულ განათლებას გვთავაზობს რეგიონში. ვფიქრობ, ბევრი უცხოელი სტუდენტი დაინტერესდება ამ პროგრამით და მათთვის საქართველო განათლების მიღებისთვის სასურველი ადგილი გახდება.“

სითჰარტ ჯეინი, უფროსი კონსულტანტი: *„მოხარული ვარ, რომ გამოფენაზე ვიხილე საქართველოს წარმომადგენლები. საქართველოდან ბევრი საინტერესო უნივერსიტეტია წარმოდგენილი. საქართველოს მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს ამ ინიციატივას და ეს პროექტი მართლაც მიღწევაა მათი მხრიდან. მინდა წარმატება ვუსურვო ამ პროექტს და მხარდაჭერას ვუცხადებ ნებისმიერ აქტივობას თუ ინიციატივას, რაც სამომავლოდ დაიგეგმება.“*

საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენა დუბაიში სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

ქართული როგორც უცხო ენა

უცხოეთში ქართული ენის პოპულარიზაციისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამას „ირბახი“, რომელიც უცხოეთში ქართული ენის სწავლებასა და პოპულარიზაციას ემსახურება. ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული უცხოელების, ისტორიული დიასპორებისა თუ თანამედროვე ემიგრანტების შვილებისთვის, სულ რამდენიმე წელია, მუშაობს პროგრამის სპეციალური სასწავლო ვებგვერდი – www.geofl.ge, რომელსაც, ორი წლის განმავლობაში, 66 ათასზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. www.geofl.ge უკვე კარგადაა ცნობილი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ამის დასტურია ვებგვერდის მზარდი რეიტინგი.

ნატა დავითაშვილი, პროგრამა „ირბახის“ ექსპერტი: *„მას შემდეგ, რაც საქართველო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა გახდა, ჩენი ენობრივი განათლების სფეროშიც დაიწყო გავრცელება თანამედროვე ენობრივმა სტანდარტებმა თუ კრიტერიუმებმა, ახალმა მიდგომებმა თუ ევროპის საბჭოს ენობრივი განათლების პროექტმა. დღეს, როდესაც გადამწყვეტ ფაზაშია შესული საქართველოს განათლების სისტემის ინტეგრაციის პროცესი საერთო ევროპულ სისტემაში, ცხადია, ამ მიმართულებით სწორად გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრებისთვის.*

ვებგვერდის ამოქმედებამდე, პროგრამამ გრძელი გზა განვლო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართული ენის სამმართველოს უფროსის, ევროპის საბჭოში ენობრივი პოლიტიკის ეროვნული წარმომადგენლის, პროფესორ ***მარიკა ოძელის*** *ავტორობით, შეიქმნა და მისივე ხელმძღვანელობით ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანიც თავიდანვე იყო: ქართულის, როგორც უცხო ენის, დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბება; ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლა-სწავლების სრული სასწავლო პაკეტის შექმნა; ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა გეოგრაფიული არეალის გაფართოება; ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია უცხოეთში. ამ მიზნების მისაღწევად დაიწყო სისტემური და თანმიმდევრული მუშაობა. 2010-12 წლებში, საქართველოს ენობრივი განათლების ისტორიაში პირველად, შეიქმნა ქართული ენის ფლობის დონეების სტანდარტული სასწავლო აღწერილობა. მისი პრეზენტაცია წარმატებით შედგა ევროპის საბჭოს ენობრივი განათლების ფორუმზე. სწორედ ქართული ენის ფლობის დონეების სტანდარტული აღწერილობის შემუშავების შედეგად შეიქმნა ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახი“.*

იასუჰირო კოჯიმა, საქართველოში იაპონიის საელჩოს ატაშე, ქართველოლოგი: *„პროექტ „ირბახის“ ფარგლებში გახსნილ ვებგვერდზე „ქართული, როგორც უცხო ენა“ ძალზე მრავალფეროვანი, საინტერესო სასწავლო მასალაა განთავსებული. ენის შესწავლის მეთოდის თვალსაზრისით, ეს ვებგვერდი თანამედროვე კრიტერიუმების გათვალისწინებითაა შექმნილი და მაღალ ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. ვფიქრობ, ეს მასალები ძვირფასია ყველა უცხოელისთვის, ვინც ქართული ენის შესწავლით არის დაინტერესებული და არა მარტო უცხოელებისთვის, ქართველი ბავშვებისთვისაც, ვინც უცხოეთშია. იმედია, ამ ვებგვერდის გამოყენებით ბევრი ხალხი ისწავლის ქართულს.“*

„ეს პროგრამა ძალიან მრავალფეროვანი და მრავალმხრივია იმიტომ, რომ ქართული ენის შესწავლის გარდა, მიზნად ისახავს ქართული ლიტერატურის, ქართული კულტურის პოპულარიზაციას უცხოელი მკითხველისთვის.“ – შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **მაკა ელბაქიძე**.

დღეისათვის, პროგრამა „ირბახი“ არაერთ პროექტს აერთიანებს: სასწავლო პროექტი „აღმართი“, ქართული ენის პოპულარიზაციის პროექტი „უორდროპი“ და კულტურულ-შემეცნებითი პროექტი „გაიცანი საქართველო“. ამ პროექტების ფარგლებში შექმნილი ყველა მასალა იტვირთება ვებგვერდზე.

„აღმართი“ სასწავლო სერიის სახელწოდებაა და სიმბოლურად გამოხატავს პროექტის შემსრულებლების, შემსწავლელებისა და მასწავლებლების მიერ განვლილი თუ გასავლელი გზის სირთულეს. მასში გაერთიანებულია სახელმძღვანელოები, საკითხავი ლიტერატურა, ენის ფლობის დონეების აღწერილობა, თვითშეფასებისა თუ შეფასების ტაბულები და სხვა დამხმარე მასალა. პროექტი „აღმართი“ კულტუროლოგიურ და ქვეყანათმცოდნეობით კომპონენტებსაც მოიცავს, რომლებიც ენის ფლობის დონის შესაბამისი მოცულობითაა წარმოდგენილი.

„აღმართიანი გზის“ დასაწყისში, 2012 წელს, შეიქმნა ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელო. ესეც სრულიად ახალი სიტყვა იყო ჩვენი საგანმანათლებლო ლინგვისტიკისთვის. ახალი მეთოდური პრინციპებისა და საერთო ევროპული ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით, დაიწყო სერია „აღმართის“ სახელმძღვანელო კომპლექტების შედგენა, ქართული ენის ფლობის დონეების მიხედვით. ამ სერიის სახელმძღვანელოები ერთენოვანია, რითაც განსხვავდება აქამდე არსებული სახელმძღვანელოებისგან. სერია იქმნება კომუნიკაციური უნარების გათვალისწინებით, სასწავლო მასალა ისეა ორიენტირებული შემსწავლელებზე, რომ მათ შეძლონ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში გარკვევა და ურთიერთობის დამყარება. ამჟამად უკვე დასრულებულია ხუთი სხვადასხვა დონის სახელმძღვანელო. ენის ფლობის თითოეული დონისთვის გათვალისწინებულია ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურა. ქვეყანათმცოდნეობით ასპექტებთან ერთად, მასში ბევრი საინტერესო ინფორმაციაა უცხოეთში მცხოვრები ქართველი მოღვაწეების, ქართული კულტურისა თუ ბრენდების შესახებ. საკითხავი მასალა ისეა მოწოდებული, რომ ხელს უწყობს სახელმძღვანელოებით ათვისებული გრამატიკული მასალის განმტკიცებასა და ლექსიკური მარაგის გაფართოებას, ცოდნის გაღრმავებასა და კითხვის უნარის განვითარებას.

ქართული ანბანის შესასწავლად გამოყოფილია სპეციალური ველი, რომელშიც ნაჩვენებია ასოების მოხაზულობა და არტიკულაცია. ქართული ანბანის პოპულარიზაციისთვის შექმნილია მუსიკალური ვიდეოკლიპი „ქართული ანბანი“.

ქართულის, როგორც უცხო ენის, მასწავლებელთა და შემსწავლელთა საჭიროების გამოვლენის შედეგად, გამოიკვეთა გრამატიკის დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობა. ამ მიზნით დაიწერა ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსი, რომელიც ვებგვერდზე განთავსებულ სხვა სასწავლო მასალებთან ბმულებით დაკავშირების საშუალებას იძლევა, რაც სწავლა-სწავლების პროცესს ამარტივებს. იქმნება ენის ფლობის დონეებზე განწყობილი, თარგმნით-განმარტებითი აუდიო სასწავლო ლექსიკონი. მზადდება ლექსიკონისა და ვებგვერდის საინფორმაციო მასალის ინგლისური ვერსია.

ვებგვერდზე შეგიძლიათ იხილოთ კიდევ ერთი ველი – „საქართველოს შესახებ“. მასში, ჯერჯერობით, მხოლოდ ქართული ლიტერატურის გაცნობაა შესაძლებელი. მომავლისთვის ბევრი საინტერესო ნარკვევის განთავსება იგეგმება. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა, სპეციალურად ვებგვერდისთვის, შექმნა ნაშრომი „ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე“, რომელიც საშუალებას აძლევს ქართული მწერლობითა და კულტურით დაინტერესებულ მკითხველს, გაეცნოს ქართული ლიტერატურის განვითარების ცალკეულ ეტაპებს არა როგორც იზოლირებულ სივრცეს, არამედ როგორც მსოფლიო კულტურის ნაწილს. მნიშვნელოვანია, რომ ვებგვერდზე განთავსების შემდეგ, ეს ნაშრომი განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა და 2018 წელს წარმოდგენილი იქნება ფრანქფურტის წიგნის ბაზრობაზე.

„საყურადღებოა, რომ ეს მასალა მოწოდებული იყო პოპულარული, ადვილად გასაგები ენით, რომელიც შეესაბამებოდა, ვთქვათ, ენის ცოდნის B2 დონეს. – ამბობს მაკა ელბქიძე – *წიგნის ეროვნული ცენტრის ინიციატივით, ჩვენი ნაშრომი გერმანულ ენაზე ითარგმნა და ერთ-ერთმა საკმაოდ პოპულარულმა გერმანულმა გამომცემლობამ გამოთქვა მზადყოფნა, რომ ეს ნაშრომი გამოიცეს და, როგორც სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, წარმოდგენილი იქნეს ფრანქფურტის წიგნის ბაზრობაზე.“*

ქეთევან კანდელაკი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო კულტურული და ჰუმანიტარული დეპარტამენტის დირექტორი: *„2001 წლიდან, ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებით, ყოველ 26 სექტემბერს, აღინიშნება ენების ევროპული დღე, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენას. საქართველო, წლების განმავლობაში, მონაწილეობდა ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ჩართულობა განსაკუთრებით ეფექტიანი და თვალსაჩინო გახდა, რაც განპირობებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით. ამ თანამშრომლობის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რამდენიმე ენაზე ამზადებს საინტერესო მასალას ქართული ენის, დამწერლობის შესახებ, რომელიც მართლაც ძალიან საინტერესო და ინფორმაციულია იმ აუდიტორიისათვის, რომელიც დაინტერესებულია ქართული ენით, ასევე, იმ აუდიტორიისათვის, რომლის წინაშეც გვინდა წარმოვაჩინოთ ჩვენი ენა და კულტურა.*

საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, ეს მასალა საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში იგზავნება და შესაძლებლობა ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ როგორც სხვადასხვა ქვეყანაში დაგეგმილ ენების ევროპული დღის აღნიშვნაში, ასევე სხვა ღონისძიებებში, რომელთა ფორმატი ქართული ენისა და ქართული კულტურის წარმოჩენის კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს. გასულ წელს, მასალა 29 დიპლომატიურ წარმომადგენლობას დაეგზავნა.

პროექტი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა. სულ უფრო მზარდია ინტერესი და რიცხვი იმ ქვეყნებისა, სადაც საქართველო, ოფიციალურად, შეტანილია ევროპული ენების დღის აღნიშვნის კალენდარში. ამ პროექტს წელსაც გავაგრძელებთ. დიდია მოთხოვნა ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლობების მხრიდან ამ მასალის გამოყენებაზე, უკვე აქტიურად იგეგმება ღონისძიებები, რომელთა ფარგლებში, კიდევ ერთხელ მოგვეცემა შესაძლებლობა, წარმოვადგინოთ ჩვენი ქვეყნის მდიდარი კულტურა და ქართული ენა, რომელიც, სხვა ევროპულ ენებთან ერთად, ქმნის ევროპულ ენობრივ და კულტურულ მრავალფეროვნებას.“

ევროპის საბჭოს თანამედროვე ენების ევროპულ ცენტრს ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილი აქვს სპეციალური გვერდი, სადაც შესაძლებელია მრავალმხრივი ინფორმაციის მოძიება ამ დღის შესახებ. გვერდი მრავალენოვანია. პროექტის **„უორდროპი“** ფარგლებში, მომზადდა ვებგვერდის ქართული ვერსია, რომლითაც უკვე შესაძლებელია სარგებლობა.

„გაიცანი საქართველო“ პროგრამა „ირბახის“ კიდევ ერთი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს უცხოეთში ქართული ენის შესწავლის ინტერესის გაღვივებასა და მოტივაციის ამაღლებას. პროექტი 2014 წლის შემოდგომაზე დაიწყო, როდესაც, ოქტომბერში, საქართველოს თურქეთიდან ეწვივნენ ყარსისა და არდაჰანის უნივერსიტეტების ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტები. ისინი, ერთი კვირის განმავლობაში, იმყოფებოდნენ ქართულ ენობრივ გარემოში, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები, ესტუმრნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, ჩაუტარდათ ლექცია-საუბრები, დაუმეგობრდნენ ადგილობრივი უნივერსიტეტების სტუდენტებს. ეს იყო მრავალფეროვანი ღონისძიებებით დატვირთული დღეები, მათ გაიცნეს და შეიყვარეს ქვეყანა, რომლის ენასა და ლიტერატურასაც სწავლობენ უცხოეთში. ანალოგიურ ღონისძიებას მოუთმენლად ელიან სხვა უნივერსიტეტების ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტებიც და, ალბათ, მათი იმედი არ გაცრუვდება.

geofl.ge 2014 წელს ამოქმედდა და, ამ წლების განმავლობაში, მისი მომხმარებლების რაოდენობა იზრდება, გეოგრაფია ფართოვდება. ქართული ენის შესასწავლად ვებგვერდს იყენებენ როგორც უცხოელები, ასევე ქართული ისტორიული დიასპორების წარმომადგენლები თურქეთში, ირანსა და რუსეთში.

თეირანის უნივერსიტეტში, უცხო ენათა ცენტრში, სადაც სხვა 22 ენასთან ერთად, უკვე მეათე წელია, ქართულსაც ასწავლიან, სახელმძღვანელოებს საქართველოდან ღებულობენ. ქართული ენის შესწავლის მსურველები სხვადასხვა მოტივაციით მოდიან – არიან სტუდენტები, ასევე, ბიზნესმენები, რომლებსაც საქართველოსთან აქვთ კავშირი.

ალი ფეიზოლაჰი, თეირანის უნივერსიტეტის უცხო ენათა ცენტრის დირქტორი: *„ირანის უნივერსიტეტის პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელიც უნივერსიტეტში ყველა მეზობელი ქვეყნის ენის სწავლებას ითვალისწინებს, აკადემიურ დონეზე, მიმდინარეობს მსჯელობა, რომ ცალკე საუნივერსიტეტო საგნად შევიტანოთ ქართული ენა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ინტენსიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს საელჩოსთან თეირანში და, როდესაც გარკვეულ შეთანხმებამდე მივალთ, ქართულ ენას ჯერ მეორე ენის სტატუსით შევიტანთ პროგრამაში, ხოლო შემდგომში ცალკე მიმართულებად ჩამოვაყალიბებთ.“*

მოამზადა **ლალი თვალაბეიშვილმა**

რამინ ჯინჭარაძე, ქართული ენისა და კულტურის შესწავლის ცენტრის „აზრი“ დამფუძნებელი: *„რამდენიმე წლის წინ პეტერბურგში ხელახლა დავაარსეთ ქართველი ახალგაზრდობის გაერთიანება და აღვადგინეთ თავდაპირველი სახელწოდება „თერგდალეულები“. როგორც ცნობილია, ასეთი გაერთიანება, პირველად, ჩვენსავით პეტერბურგში სასწავლებლად ჩასულმა ილია ჭავჭავაძემ შექმნა. ვატარებთ ბევრ ღონისძიებას, შეხვედრებს. შარშან, 14 აპრილს, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გვქონდა. პეტერბურგში 40 000-ზე მეტი ქართველი ცხოვრობს, რამდენიმე თაობაში, სამწუხაროდ, ყველა ვერ უნარჩუნებს შვილებს ენას. ასეთი შეხვედრები, პირველ რიგში, მათთვისაა განკუთვნილი. ასევე, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავატარეთ კონფერენცია, რომელიც მივუძღვენით შოთა რუსთაველს და მის ეპოქას, რამაც ძალიან დიდი გამოხმაურება გამოიწვია. დღეს ინფორმაციის მიღება მასმედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით ხდება, ამიტომ „აზრის“ – ქართული ენისა და კულტურის შესწავლის ცენტრის საქმიანობა ინტერნეტსივრცეში ხორციელდება.*

ყველაფერი დაიწყო 2010 წელს, როდესაც მე პეტერბურგის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ჩავაბარე. სამშობლოსთან დაცილებამ უფრო დამაახლოვა საქართველოსთან, დავიწყე ჩვენი ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა. შარშან დავიცავი სამაგისტრო ნაშრომი საქართველოში რელიგიისა და ფილოსოფიის დაფუძნების შესახებ. ერთხელ, ჩემმა მეგობარმა მთხოვა, მესწავლებინა მისთვის ქართული და მეც შევუდექი მასთან მეცადინეობას იმ მასალით, რომელიც იმდროისათვის მოვიძიე. მინდა გითხრათ, რომ მას ქართული ვერ ვასწავლე. ჩემს გამოუცდელობას ვაბრალებდი, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ მარტო ჩემი ბრალიც არ იყო. მიდგომას, მეთოდიკას და, რაც მთავარია, სასწავლო მასალებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. და აი, 2014 წელს გავიგე ქართულის, როგორც უცხო ენის, შესწავლის მეთოდიკით დამუშავებული მასალების შესახებ. მაშინვე დავიწყე „აღმართის“ სახელმძღვანელოებით სარგებლობა. სწავლის პროცესის გაადვილების გარდა, მოწაფეები თვითონ ხედავენ თავიანთი მუშაობის შედეგს. ეს დონეებად დაყოფის რეზულტატია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, ყველა მოუთმენლად ელოდება შემდეგ დონეზე გადასვლას. დამატებითი სტიმულია, ასევე, რომ „აღმართი“ელექტრონული რესურსია, რაც გაცილებით ამარტივებს მის გამოყენებას. დიდი მადლობა ქალბატონ მარიკა ოძელს და „აღმართის“ მთლიან კოლექტივს მათი საქმიანობისათვის.“

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

თეოლოგობა – ერთგვარი ხიდი დაცემულ ადამიანსა და ღმერთს შორის

რუბრიკის სტუმარია
ირაკლი ჯინჯოლავა, მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანეს უნივერსიტეტის დოქტორანტი

– ირაკლი, როგორ გახსენდება ზუგდიდის №1 საჯარო სკოლაში გატარებული წლები, განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– მიუხედავად მძიმე წლებისა, მოსწავლეობის პერიოდი ძალიან თბილად მახსენდება. ეს ის დრო იყო, როცა დამოუკიდებლობის გზაზე ახალფეხადგმული ქვეყანა სამოქალაქო ომის ჭრილობებს იშუშებდა. ჩემს კლასში 45 მოსწავლე ვიყავით, მრავალრიცხოვნობა კი მასწავლებლების მხრიდან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, რათა სასწავლო პროცესი ნორმალურად წარმართულიყო. ხშირად ვერც ხერხდებოდა. ჩვეულებრივი მოსწავლე ვიყავი. მიუხედავად ეკონომიკური სიდუხჭირისა, მშობლებმა მოახერხეს ის, რომ რეპეტიტორებთან მევლო. მათი უმრავლესობა იგივე სკოლის მასწავლებელი იყო. კლასელებზე, მასწავლებლებზე და ზოგადად ბავშვობის მეგობრებზე ხშირად მითქვამს, რომ საზღვარგარეთ ყოფნის წლებმა უფრო დამაახლოვა მათთან. აქ ისინი ჩემთვის უფრო ახლობლები გახდნენ, ვიდრე მანამდე იყვნენ. როდესაც თვალი თვალს ხედავს, მაშინ გონება ისე არ მოქმედებს, ხოლო როცა ვინმეს ვერ ვხედავთ, მაშინ ვიწყებთ მასზე ფიქრს.

რაც შეეხება ჩემი პროფესიის განსაზღვრაში სკოლის როლს, ვერ გეტყვით, რომ თავიდანვე ამ მიმართულებით ვფიქრობდი, თუმცა გარკვეული ბიძგი შეიძლება სწორედ ამ წლებმა მომცა. ადრეული ასაკიდან, ასე 12 წლისა, უკვე სტიქაროსანი ვიყავი.

– სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას თბილისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებ. რა შეგიძლია გვიამბო ამ პერიოდის შესახებ?

– მიუხედავად იმისა, რომ სემინარიაში ჩაბარებამდე და სწავლის პერიოდშიც, მუდმივად მსურდა საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა, ეს ძნელი გამოდგა. თუმცა, ჩემთვის სტუდენტური წლები დაუვიწყარი და მნიშვნელოვანია. რამდენადაც უკმაყოფილო არ უნდა ვიყო სემინარიით (მისი აკადემიური დონე, პირობები, გარემოცვა და ა.შ.), მადლიერი ვარ, რომ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვცადე. გამოვცადე, როგორები ვართ (ვგულისხმობ სემინარიას), ვინ ვიყავით და ამ პერსპექტივიდან დღეს შეიძლება საკუთარ თავს უფლება მივცე იმაზე საუბრისა, თუ როგორი შეიძლება გავხდეთ. სასულიერო სემინარიაში სწავლის ოთხი წელი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. შესაბამისად, ის, რაც სემინარიასთანაა დაკავშირებული, იქნება ეს კარგი თუ ცუდი, მეც ასევე მიხარია და მტკივა. სემინარიაში სწავლის პერიოდი იყო ის დრო, რომელმაც საღმრთისმეტყველო ცოდნის საფუძვლებთან ერთად მრავალ ადამიანს დამაკავშირა.

– შემდეგ სწავლას გერმანიაში აგრძელებ. რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი, რა გზა გაიარე ლუდვიგ-მაქსიმილიანეს უნივერსიტეტამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად გერმანია?

– მეგობრები ხშირად მეხუმრებოდნენ, რომ მოვიარე მსოფლიო – ვსწავლობდი საბერძნეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, ამერიკაში და ა.შ. სინამდვილეში კი – ვერსად მივდიოდი. ჩემი მრავალი მცდელობის მიუხედავად, ყველა ცდა კრახით სრულდებოდა. იყო მრავალი იმედგაცრუება, ტყუილი, ცრუ შეპირება და ბოლოს მაინც მე-4 კურსამდე მივაღწიე. ამ დროს გავიცანი გერმანიაში მყოფი ქართველი სტუდენტები, რომლებიც თეოლოგიას სწავლობდნენ. თავიდან სწორედ მათი ხელშეწყობით მოვხვდი გერმანიაში, პირველ ეტაპზე – გერმანული ენის შესასწავლად. ვცხოვრობდი აღმოსავლურ სემინარიაში, გავდიოდი ენის კურსებს და ვესწრებოდი ლექციებს აიხშტეტის (Eichstätt) უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე. ასე გავიდა თითქმის ორი წელიწადი. მაშინ მიუნხენის უნივერსიტეტში მოხვედრა ვერც წარმომედგინა. თუმცა რამდენიმეთვიანი ბრძოლის, აცრემლებული თვალებისა და ჯაფის ფასად, აღმოვჩნდი სასულიერო სემინარიის პირველი კურსდამთავრებული, რომელმაც ამ უნივერსიტეტისაგან დიპლომის სრული აღიარება მოიპოვა. პარალელურად, ავიღე სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის უფლება და ასე ჩავირიცხე ლუდვიგ-მაქსიმილიანეს სახელობის მიუნხენის უნივერსიტეტის მართლმადიდებელი თეოლოგიის ინსტიტუტში.

– მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანეს უნივერსიტეტი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტთა ასეულში შედის. გერმანიის მასშტაბით კი, მიმდინარე მონაცემებით, პირველ ადგილზეა. უდიდესი ისტორიის მქონე უნივერსიტეტში 20 ნობელიანტია აღზრდილი. ირაკლი, შენ ამჟამად სწორედ ამ უნივერსიტეტში სწავლობ დოქტორანტურაზე ბიბლიური თეოლოგიის მიმართულებით. როგორც ვიცი, დასავლეთ ევროპაში ეს ფაკულტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთადერთი მართლმადიდებელი თეოლოგიის ფაკულტეტია (არის ევანგელური, ასევე კათოლიკური თეოლოგიის ფაკულტეტები), სასწავლო პროგრამაში შედის კვლევითი მოგზაურობები.

– მიუნხენის მართლმადიდებელი თეოლოგიის ინსტიტუტი 20-წლიან ისტორიას ითვლის. საამისოდ მზადება უფრო ადრე, 1984 წლიდან, იწყება ჯერ კათედრის დონეზე, ხოლო უკვე 1994 წელს, აკადემიური სენატის გადაწყვეტილებით, საფუძველი ეყრება მართლმადიდებელი თეოლოგიის ინსტიტუტს. 1999 წლიდან მას სადოქტორო პროგრამაც ემატება. სტუდენტებს, რომლებიც აქ თეოლოგიურ განათლებას იღებენ, შესაძლებლობა აქვთ, კარგად გაეცნონ არა მარტო დასავლური თეოლოგიის ისტორიას, არამედ ასევე ამ ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და თავისებურებებს. ეს კი პირდაპირ გავლენას ახდენს მართლმადიდებელი მოსახლეობის (2,5 მლნ.) რელიგიურ და კულტურულ ინტეგრაციას გერმანულ საზოგადოებაში.

მართლმადიდებელი თეოლოგიის მიზანია, მოახდინოს არა მხოლოდ კონფესიური რწმენის პრეზენტირება, არამედ განიხილოს ეკლესია, როგორც შუამავალი სხვა ქრისტიან თეოლოგებთან და მეცნიერებთან. ეს არა მარტო თეოლოგიის კრიტიკულ ამოცანებზე პასუხების გაცემის შესაძლებლობას იძლევა, არამედ სარწმუნოებითი გამოცდილების ახლებურად ამოხსნისაც. შესაბამისად, ჩვენთვის შესაძლებელია მეთოდოლოგიასა და სხვა ქრისტიან თეოლოგებზე დაყრდნობით, რომლებიც მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, ახალი იმპულსების მიღება, ხოლო ეს კავშირი ჩვენი – მართლმადიდებლური თეოლოგიის განახლებას უწყობს ხელს.

ისმის კითხვა, თუ რა როლი აქვს ასეთ ძლიერ უნივერსიტეტს ამ პატარა ინსტიტუტისათვის? უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დაწესებულებას არა მხოლოდ ფინანსურად, არამედ იძლევა იმის მყარ გარანტიას, რომ კვლევისა და სწავლების სფეროში მაღალი სტანდარტები იყოს დაცული. ეს ყოველივე შესაძლებელს ხდის აზრთა გაცვლას, დისკუსიასა და დიალოგს სამეცნიერო დონეზე. თეოლოგიას კი სჭირდება ეს დიალოგი, ანუ კავშირი სხვა მეცნიერებთან.

თუკი სიმართლეა, რომ ევროპის ფარგლებში თანაცხოვრება თანხვედრების გარეშე შეუძლებელია, მაშინ მართლმადიდებელი თეოლოგიის შესწავლა გერმანიაში იძლევა შანსს თაობის ახლებურად გაზრდისა. თაობისა, რომელიც არ იქნება რაღაც კულტურული დოგმებით, ე.წ. „კლიშეებით“ იზოლირებული, არამედ ექნება ერთიანი სულისკვეთება და ტრადიციების მთლიანობა. ვგულისხმობ საქმის ერთად, თანაზიარებით კეთებას, ყოველგვარი იზოლირებისა და სტერეოტიპების გარეშე.

– რა წესით გამოიყოფა სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები? არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– ეს კითხვა ძალიან ბევრ დეტალს მოიცავს, თუმცა მე მოკლედ გიპასუხებთ. ზოგადად, გერმანიაში სწავლა უფასოა. თუმცა, სტუდენტისთვის ცხოვრება და კვება წელიწადში, საშუალოდ, 8.000 ევრო ჯდება. არის სასტიპენდიო ფონდები როგორც სახელმწიფო, ასევე საეკლესიო თუ კერძო. ყველას თავისი წინაპირობები აქვს, თუმცა, ძირითადად, სტუდენტს სასწავლო პერიოდის, მინიმუმ, ნახევარი წარმატებით უნდა ჰქონდეს განვლილი. ასევე საჭიროა პროფესორების დადებითი რეკომენდაცია, საკმაოდ დიდი და ფორმალური მხარეები, მაგრამ სავსებით დასაძლევი. 6 წელია, მეც ასე ვცხოვრობ, სტიპენდიებით.

– რა როლი უჭირავს გერმანიაში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს, კონკრეტულად რა შეგიძლია გვითხრა ლუდვიგ-მაქსიმილიანეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზე?

– უბრალოდ საოცრებაა. ბიბლიოთეკებში ისეთი გარემოა, რომ სწავლას მოგაწყურებს. მიუნხენის უნივერსიტეტის თეოლოგიურ ფაკულტეტებს ცალკე ბიბლიოთეკა აქვთ, 4-სართულიანი უზარმაზარი კორპუსი, წიგნებთან პირდაპირი შეხება შეგვიძლია, ანუ რომც არ ვიცოდე ამა თუ იმ წიგნის არსებობა, თემატიკის მიხედვით მივდივარ თაროებთან და ვეძებ სასურველ ლიტერატურას. ყველაფერი კატალოგიზირებულია, კომპიუტერული სისტემები ძებნის სასურველ კონდიციამდე მიყვანის საშუალებას იძლევა. ასევე, უნივერსიტეტის ლიცენზიით, წვდომა გვაქვს ფასიან პროგრამებზე. არ არსებობს წიგნი თუ სტატია, რომელსაც, სურვილის შემთხვევაში, ვერ მოვიძიებ. თუ პირადად ვერ შევძლებ, სპეციალურ ანკეტას ვავსებ და უნივერსიტეტი ეძებს ჩემთვის. მოკლედ, ევროპული ბიბლიოთეკები ეს დიდი სიამოვნებაა.

– რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას და პრაქტიკას. გვიამბე, შენი სამუშაო გამოცდილების შესახებ.

– ამ მხრივ, თეოლოგიის სტუდენტებს, დოქტორანტებს არ გვაქვს დიდი ფუფუნება. თეოლოგიური დისციპლინა არ მოითხოვს რაიმე სპეციფიკურ პრაქტიკებს და სამუშაო გამოცდილებას. რასაკვირველია, სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები მრავლადაა და ეს ზოგადი გამოცდილების ნაწილია, მაგრამ განსხვავებით ტექნიკური ფაკულტეტებისგან, ჰუმანიტარებთან ცოტა სხვანაირადაა, ძირითადად, ინდივიდუალური სამეცნიერო სამუშაოებით შემოიფარგლება.

– როგორც ვიცი, სასწავლო ვიზიტით იყავი ვატიკანში და პირადად შეხვდი რომის პაპს, ასევე იყავი ათონის წმინდა მთაზე, სადაც წმინდა პანტელეიმონის სახელობის მონასტერში მოღვაწე ქართველ ბერს, ერმოლაოსს (ჭეჟია) შეხვდი და გარკვეული პერიოდი მასთან გაატარე. რა მიზნით გაემგზავრე, გაგვიზიარე შთაბეჭდილებები და გვიამბე იმაზე, რაც გამორჩეულად დაგამახსოვრდა ამ პერიოდიდან.

– დიახ, შვეიცარიაში სწავლის დროს, ერთი კვირით, სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, რომელიც თავად პონტიფიკალური საბჭოს („ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობისათვის“) მიერ იყო ორგანიზებული, ვატიკანსა და რომში ვიყავი. ვეწვიეთ მრავალ პონტიფიკალურ საბჭოს, მუზეუმებს, ღირსშესანიშნაობებს, გავეცანით ვატიკანის მუშაობას, ასევე, იყო გენერალური აუდიენცია პაპ ფრანცისკესთან. სწორედ აქ შევხვდი მას პირადად და ხანმოკლე საუბრისას გავიგე მისგან საქართველოში მისი ვიზიტის გეგმებზე, რომელიც უკვე გასული წლის სექტემბრის ბოლოს წარმატებულად შედგა.

რაც შეეხება ათონის წმინდა მთას, აქ, პირველად, სამეცნიერო მოგზაურობის ფარგლებში ვიყავი გაგზავნილი მიუნხენის უნივერსიტეტიდან, პროფესორების რეკომენდაციით. გავეცანი ზოგადად ათონის მთის სამონასტრო ყოფას, ბიბლიოთეკებს, არქივებს. ვიყავი ასევე ივერონის მონასტრის ხელნაწერთა საცავში. საოცარი იყო ქართულ ხელნაწერებთან შეხება, რომელთაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვთ (თუმცა ხელნაწერები არ მიკვლევია). ამავე ვიზიტის დროს, შევხვდი მამა ერმოლაოსს. არა ერთხელ მითქვამს და გავმეორდები, რომ ამ ადამიანმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. მისი აზროვნების ფართო ჰორიზონტი, ინტელექტი, სულიერება და ღვთაებრივი სიყვარული ჰარმონიულადაა შერწყმული ერთმანეთში. მასთან ურთიერთობა ამითაა გამორჩეული. სწორედ მის გამო ათონის მთას ხელმეორედაც ვეწვიე, რათა მასთან მეტი ურთიერთობა მქონოდა, ნება დამრთო, მასთან ერთად, ყოველდღიურად, მემუშავა ბიბლიოთეკასა და არქივში. შესაბამისად, იქ გატარებული რამდენიმე კვირა ჩემთვის დაუვიწყარი და მრავლისმომცემია.

– „თეოლოგია არ არის დროში, რადგან ის ყოველთვის იკვლევს და განმარტავს, ამიტომაც ის ყოველთვის თანამედროვეა. თეოლოგიის წყარო ღმერთია. ამდენად თეოლოგია არის მუდმივი, მარადიული და მისი მიზანია ადამიანის ხსნა.“ – რამდენად ეთანხმები ამ მოსაზრებას და რას ნიშნავს თანამედროვე ეპოქაში თეოლოგობა, რა არის თეოლოგიის მიზანი?

– ძალიან გამიხარდა ეს ციტატა რომ მოიყვანეთ – ის ხომ ჩემს ახლო მეგობარს, თეოლოგსა და ისტორიკოსს, ლევან ბუკიას ეკუთვნის. მისი სტატია „ზოგი რამ თეოლოგიის შესახებ“ პირველად სწორედ ჩვენ მიერ დაარსებულ ბიბლიური თეოლოგიის შემსწავლელ ცენტრ „ბარძიმის“ ბლოგზე დაიდო. დიახ, რა თქმა უნდა, ვიზიარებ ამ მოსაზრებას, რადგან ის არსებულ ჭეშმარიტებას გადმოსცემს და სწორედ რომ თეოლოგიის უმთავრესი მიზანი ღმრთის შემეცნებაა და ამით ჩვენი, ადამიანების მარადიული ხსნა. ამასთან უნდა დავძინო, რომ არის აკადემიური თეოლოგია, როგორც სამეცნიერო დარგი, რომელსაც, როგორც საუნივერსიტეტო დარგს, გარკვეული ჩარჩოები, გნებავთ სტანდარტები, აქვს. ამით ის უფრო ვიწრო, შემოსაზღვრული ხდება, ვიდრე თეოლოგიის ფართო გაგება.

მთავარი კითხვა, თუ რას ნიშნავს თანამედროვე ეპოქაში თეოლოგობა, ესაა იყო გზამკვლევი, ერთგვარი ხიდი, დაცემულ ადამიანსა და ღმერთს შორის. შეძლო, როგორც თეოლოგმა, დააფიქრო ადამიანები, რომ დროის, ეპოქის, თანამედროვე რთული გამოწვევების მიუხედავად, არსებობს მარადიული, უკვდავი სული, დასვან ეგზისტენციალური კითხვები, რითაც დაიწყება ღვთის ძიების პროცესი.

– როგორია თეოლოგიური განათლების დონე საქართველოში და ევროპაში, როგორ შეადარებ საქართველოში სასულიერო განათლების ხარისხს ევროპაში არსებულთან?

– თეოლოგიურ განათლებასა და „სასულიერო განათლებას“ გავმიჯნავდი ერთმანეთისგან. რატომ? თეოლოგიას, როგორც სამეცნიერო დარგს, სჭირდება სეკულარული გარემო, სადაც ის სამეცნიერო დისკუსიასა და კამათში შევა სხვა მეცნიერებებთან, დასვამს კრიტიკულ კითხვებს, იკვლევს და ეძიებს სიახლეებს, მიიღებს გამოწვევებს სხვა დარგებისგან, რომელზეც ადეკვატურ, კვლევითი ხასიათის პასუხებს გასცემს და ა.შ. ასეთი გარემოა ევროპაში და არ არის საქართველოში. რაც შეეხება „სასულიერო განათლებას“, რომელსაც მე სულიერ გამოცდილებას უფრო დავარქმევდი, ცალსახად მნიშვნელოვანია. სულიერ სწავლებას კი გამოცდილი ადამიანებისგან

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

უნდა იღებდნენ თეოლოგიის სტუდენტები. ამისათვის არსებობს სასულიერო სემინარიები, რომელთა უპირველესი დანიშნულება აღმზრდელობითი, სულიერი სწავლებისა და სამოძღვრო პრაქტიკის მიცემის საშუალებაა. ვფიქრობ, ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, საუნივერსიტეტო დარგის თეოლოგია, ხოლო მეორე მხრივ – მაღალი სულიერი გამოცდილებით წარმართული სასულიერო სემინარია.

– რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ...

– მნიშვნელოვანია კარგად შევისწავლოთ ის გარემო, სადაც ვაპირებთ წასვლას. დღევანდელი ინტერნეტ სივრცე ამის საშუალებას იძლევა. ყველა წვრილმანი მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობ, პირველ რიგში, უმთავრესია დავსვათ კითხვა საკუთარ თავთან – „რა შემიძლია მე?“ საკუთარი თავის სწორი შეფასება სწორი არჩევანის გაკეთებაში დაგვეხმარება. არც ძალიან რთულსა და დაუძლეველს არ უნდა ჩავებღაუჭოთ და არც ძალიან სუსტს. უნდა იყოს გამოწვევა, რაღაც სირთულე, რომელიც ზრდაში, წინსვლაში დაგეხმარება. ყველაფერს ვერ გათვლი და ვერ განსაზღვრავ. შეიძლება ისეთი რამ გამოჩნდეს, რაზეც არ გიფიქრია, ეს ახალ რეალობას აჩენს და მეტ ინტერესსაც. ცხადია, ამან არ უნდა შეგაშინოს და ზოგადად, ყოველგვარ გამოწვევას შეხვდე ინტერესით და მისი გადალახვის სურვილით – ასე თუ იქნება, შესაძლებელია მიზნის მისაღწევ გზაზე განმტკიცება, რაც აუცილებელია.

– როგორია გერმანიაში სტუდენტური ცხოვრება, სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

– ძალიან მომწონს აქაური სტუდენტური ცხოვრება, სწორედ იმიტომ, რომ ის მრავალფეროვანია. დიდი არჩევანია და ამ არჩევანში სრულიად თავისუფალი ხარ. შენი პიროვნებაც ამ თავისუფლებაში იზრდება – მარტო მყოფი, საკუთარ თავთან დარჩენილი, ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე. ერკვევი იმაში, რა გინდა, რა არის შენთვის პრიორიტეტული და, აქედან გამომდინარე, საკუთარ არჩევანზე პასუხისმგებელი ხდები. შესაბამისად, სტუდენტურ ცხოვრებაში, შენი არჩევანით, ყალიბდები პიროვნებად. თუ როგორ, ამაზე პასუხისმგებელი თავად ხარ.

– როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ დამკვიდრებას – სამეცნიერო მიმართულებით თუ როგორც მღვდელმსახური. როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– მინდა, საქართველოში დავბრუნდე და იქ დავიხარჯო სრულად. სურვილი მაქვს, უმაღლესი საღმრთისმეტყველო განათლება მივიღო, რაც ცხადია, ხელს არ უშლის სასულიერო პირობას, უმალ პირიქით. ფიქრით ამ გზაზეც ვფიქრობ. ცხადია, აქ მიღებული განათლება გარკვეულ როლს ითამაშებს დასაქმებაში, თუმცა არსებობს გარკვეული დისტანცია, გარკვეული ხიდჩატეხილობა, რაც განაპირობებს პრობლემებს ურთიერთთანამშრომლობის საკითხებში, ეს კი აუცილებლად გამოსასწორებელია.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ის ალბათ მეტს ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს?

– ევროპამ ჩვენ უკვე მიგვიღო. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, დავუბრუნდით ჩვენი ბუნებრივი განვითარების გზას. თუმცა, ეს გულისხმობს პიროვნული პასუხისმგებლობის გაზრდას, რისი ნაკლებობაც ჩვენთან, საქართველოში, სამწუხაროდ ჯერ კიდევ დიდია. შესაბამისად, ასე უპასუხისმგებლოდ საქართველო ვერ განვითარდება. ევროპამ მიგვიღო და ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ განვიმტკიცებთ ადგილს ევროპულ ოჯახში, რაც არანაირად არ გულისხმობს ათქვეფას და აღრევას სხვა კულტურაში, ან კიდევ საკუთარის დავიწყებას, უმალ პირიქით, საკუთარი ისტორიით ევროპის და მსოფლიო ცივილიზაციის გამდიდრებას. გეთანხმებით, საზღვარგარეთიდან ბევრი რამის, და მათ შორის ღირებულებების, გადაფასება მოხდა. შეიძლება იმიტომაც, რომ აქ ბევრად ახალგაზრდა, 21 წლისა ჩამოვედი. საკუთარი ქვეყანაც, თითქოს, აქედან უფრო გავიცანი. ამბობენ, საქართველო გადმოტრიალებულ წიგნს გავსო, ხოდა ჩვენც საზღვარგარეთიდან ამ წიგნს ვკითხულობთ. ამას გარკვეული ობიეტური მიზეზებიც აქვს. მაგალითად, ხშირად მიწევს საქართველოს, მისი ისტორიის, ეკლესიის, კულტურის პრეზენტაცია (ყოველდღიურად კი – საქართველოს მუდმივი ელჩები ვართ). მზადების პროცესში კი თავად ვუღრმავდები ქვეყნის კულტურული იდენტობის არსსაც. ამაზე რეფლექსიის საშუალებას ხშირად მსმენელისგან წამოსული კითხვებიც განაპირობებს. შესაბამისად, მექმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში უფრო ნაკლებად იცნობენ საკუთარ ქვეყანას, ვიდრე საზღვარგარეთ მყოფი ქართველები. აქედან გამომდინარე, ქართულ დიასპორას დიდი როლი აქვს, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან ყველაფერი იდეალურადაა. ჩვენ, ქართველები, უნდა გავთავისუფლდეთ მონური აზროვნებისგან, დავუბრუნდეთ იმ თავისუფალ აზროვნებას, რომელზედაც ამდენი საუკუნეა დგას ჩვენი კულტურა, ტრადიციები, ადათი. სწორედ ეს გვხდის ჩვენისთანა პატარა ერს გამორჩეულს და სწორედ ასეთები უნდა დავრჩეთ ევროპაში. ევროპა ხომ საზღვრების გარეშე არსებული მრავალფეროვნებაა.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

ლიტერატურული კონკურსი

გამარჯვებულები გამოვლინდნენ

მაკა ყიფიანი

ამბროლაურის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი „მოაზროვნე“. კონკურსში მონაწილეობდნენ ქალაქის პირველი და მეორე საჯარო სკოლების მესამე საფეხურის მოსწავლეები. კონკურსის ფორმატი მოიცავდა ორ დღეს. პირველ დღეს, მოსწავლეებს დაურიგდათ წინასწარ შერჩეული ორი ლიტერატურული ტექსტი (ნიკო ლორთქიფანიძის ნოველები: „მონა“ და „მოლოდინი“), რომელიც დაამუშავეს, შეძლეს ტექსტების სრულფასოვანი წვდომა, პრობლემების ამოცნობა ორივე ტექსტში, ამ პრობლემებს შორის მსგავსების და განსხვავების დანახვა, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება და თხზულების დაწერა. კონკურსის მეორე დღეს, წინასწარ შერჩეულმა კომპეტენტურმა ჟიურიმ გაასწორა ნამუშევრები და, შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით, გამოავლინა გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში: *ლოგიკურად მოაზროვნე, ანალიტიკოსი, ყველაზე ორიგინალური.*

2017 წლის 12 აპრილს, კონკურსის პირობის თანახმად, გამოვლინდნენ ლიტერატურულ კონკურსში „მოაზროვნე“ გამარჯვებულები და დაჯილდოვდნენ პირველ, მეორე, მესამე ადგილებზე გასულები, აგრეთვე, სპეციალურ ნომინაციებში გამარჯვებული კონკურსანტები, რომლებსაც საჩუქრებად გადაეცათ ქართველ და უცხოელ ავტორთა ნაწარმოებები. გამარჯვებულებმა წაიკითხეს საკუთარი ნაშრომები და უპასუხეს აუდიტორიის მიერ დასმულ შეკითხვებს.

კონკურსის გამარჯვებულები არიან: **ქრისტინე ჯანგიძე** (ამბროლაურის მე-2 საჯარო სკოლა); **ქეთევან ხუციძე** (ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლა); **ლილი ჯოხაძე** (ამბროლაურის მე-2 საჯარო სკოლა).

სპეციალური პრიზები გადაეცათ: ყველაზე ორიგინალური ნაშრომი – **თუთი გურგენიძე** (ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლა); ყველაზე ლოგიკური – **მაგდა ვახტანგაძე** (ამბროლაურის პირველი საჯარო სკოლა); ანალიტიკოსი – **ნინო გოგრიჭიანი** (ამბროლაურის მე-2 საჯარო სკოლა).

ფიქრია ცხვედიანი, ამბროლაურის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ჰუმანიტარულ ღონისძიებათა მენეჯერი, პროექტის ავტორი და ორგანიზატორი: *„კონკურსს მეოთხე წელია ვატარებთ, წელს ქალაქის 45-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ლიტერატურული კონკურსის „მოაზროვნე“ მიზანია ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა პოპულარიზაცია მოსწავლეებში, წერის კულტურის, ანალიტიკური და ლოგიკური აზოვნების, მსჯელობის, აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის განვითარება, სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე, ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება. მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის სახელით, მადლობა მინდა გადავუხადო ქალაქის საჯარო სკოლების დირექტორებს და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს მხარდაჭერისთვის“.*

ასლან საგანელიძე, ამბროლაურის საკრებულოს თავმჯდომარე: *„უკვე მეოთხე წელია, რაც ტარდება ლიტერატურული კონკურსი „მოაზროვნე“. დიდია ინტერესი კონკურსის მიმართ, ყოველწლიურად იზრდება მონაწილეთა რაოდენობა. პროექტის ხელმძღვანელის დამსახურებაა კონკურსის დახვეწილი ფორმატი, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულები კონკურსის დანარჩენ მონაწილეებს უკითხავენ თავიანთ ნამუშევრებს და პასუხობენ აუდიტორიის მიერ დასმულ შეკითხვებს, რაც იწვევს ობიექტურობის განცდას და ზრდის პროექტის სანდოობას. აღნიშნული პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდებში საპრეზენტაციო, სადისკუსიო, შემოქმედებითი უნარების განვითარებას, რაც ასე აუცილებელია დღევანდელ გარემოში წარმატების მისაღწევად. მონაწილეებს შესაძლებლობების რეალიზების და ინტერესთა გაფართოების საშუალება ეძლევათ. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ყველა იმ პროექტის განხორციელებას, რომელიც მომავალი თაობის გონებრივ, სულიერ თუ ფიზიკურ განვითარებას ემსახურება“.*

მაია დგვარელი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ჟიურის წევრი: *„მესამე წელია, ჩართული ვარ ლიტერატურულ კონკურსში „მოაზროვნე“. კონკურსის მიზანი დროული და მნიშვნელოვანია ჩვენი მოსწავლეებისთვის, რადგან ის პოპულარიზაციას უწევს ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებებს. მე, როგორც ამ პროექტის ჟიურის წევრი, თვალნათლივ ვხედავ, როგორ იზრდება პროექტში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა, მათ მოსწონთ საკონკურსო პირობები. უცნობ ტექსტებზე მუშაობა ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების, აზრის ცხადად და მწყობრად გადმოცემის უნარებს უვითარებთ, აგრეთვე, მეტი შემოქმედებითი თავისუფლება ეძლევათ. როგორც ჟიურის წევრი, მადლობელი ვარ ამ პროექტის ხელმძღვანელის, ქალბატონ ფიქრია ცხვედიანის, რადგან მან საშუალება მომცა ვიკითხო, გავასწორო და დიდი სიამოვნება მივიღო მოსწავლეთა ნამუშევრებისგან. ხშირად გვიჭირს კიდეც მათ შორის საუკეთესოთა გამორჩევა, რადგან ყველა თავისებურად საინტერესო, ლაღი და მრავლისმომცველია“.*

ნინო ხუციძე, პროექტის მონაწილე: *„მესამე წელია, კონკურსში ვიღებ მონაწილეობას. ბოლო ორი წელი გამარჯვებულთა შორის ვარ. დიდია მოლოდინი კონკურსის დაწყების წინ... დავალება მარტივი არასოდესაა, მაგრამ საინტერესოა, რა გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდები, შევძლებ თუ არა პრობლემის ზუსტად ამოცნობას, მოვლენათა ანალიზს და შეფასებას. კონკურსმა შემძინა გამოცდილება და დამეხმარა საგნობრივ ოლიმპიადაზე წარმატების მიღწევაში, რისთვისაც მადლობას ვუხდი პროექტის ავტორს“.*

ბაკურ ბაკურაძე, პროექტის მონაწილე: *„მეორე წელია, ლიტერატურული კონკურსის მონაწილე ვარ. შარშან გავიმარჯვე. წელს მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა და კონკურენციაც უფრო დიდი იყო. მომწონს იმ აქტუალურ პრობლემებზე წერა, რომელსაც პროექტის ავტორი გვთავაზობს. მოთხოვნა მაღალია და შეფასება – ობიექტური. კონკურსმა დიდი გამოცდილება შემძინა. ეს ჩემთვის ერთგვარი დიაგნოსტიკური ტესტი იყო ეროვნულ გამოცდებზე გასვლის წინ. მინდა მადლობა გადავუხადო პროექტის ავტორს“.*

საუბრები ლიტერატურაზე

დიდი ჯაჭვის პატარა რგოლი

ეპოქის თავისებურების გააზრებისათვის მოთხრობაში – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“

ადამიანების უმეტესობა მიფრინავს ან მოფრინავს, ანუ მოგზაურობს აღმოსავლეთით ან დასავლეთით, მაგრამ გამოჩნდება ვიღაც, რომელიც განსხვავდება ყველასაგან, რომელიც განუმეორებელი ეგზემპლარია და რომელმაც „გადაუფრინა გუგულის ბუდეს“. აღსანიშნავია ისიც, რომ გუგულს ბუდე არ აქვს, მასზე გადაფრენაც შეუძლებელია, ხოლო გადამფრენი კი აუცილებლად რაღაც განსაკუთრებულს გვპირდება... ასეთი პერსონაჟია ვასიკო კეჟერაძე, კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა. მოსწავლე შესაბამისად ვერ აფასებს ეპოქის თავისებურებებს. მას უნდა მივაწოდოთ ნაწარმოები, როგორც ორგანული ნაწილი იმ ისტორიულ-სოციალური გარემოსი, რომელიც ამ მოთხრობაშია აღწერილი. მოთხრობა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიწერა. მწერალი გურამ დოჩანაშვილი შესაძლებლობას გვაძლევს, უშუალოდ მივადევნოთ თვალი საბჭოური ეპოქის თავისებურებებს, ვიგრძნოთ და დავინახოთ საქართველოს ცხოვრება კომუნისტური რეჟიმის პირობებში, ამ რეჟიმის სხვადასხვანაირად გამოვლენილი ავადმყოფური ბუნება. მოთხრობის პერსონაჟთა სახეები, მათი ხვედრი მკვეთრად აღბეჭდავს ადამიანის ბედს საბჭოთა საქართველოში.

„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ანტისაბჭოთა ნაწარმოებია, ის, უპირველესად, ამ ქვეყნის ისტორიას ჰყვება. ჰყვება მსუბუქად, ირონია-იუმორის ზღვარზე, ჰყვება ისე, რომ საბჭოთა ადამიანის ცხოვრების ტრაგიზმი თითქმის არ ჩანს, ჩამალულია და თანდათან, ოსტატურად გვაპარებს დოჩანაშვილი... თავიდან საბჭოთა რეჟიმში შევყავართ მაღალფარდოვანი სიტყვებითა და ყალბი პათეტიკით, რომლებიც ყველაზე ადეკვატური ფორმაა იმ სინამდვილის გადმოცემისა. საბჭოთა ეპოქაში მცხოვრები ადამიანია ვასიკო და რეჟიმს უნდა გადაურჩეს. ამ რეჟიმისგან თავის გადარჩენას კი იუმორითა და წიგნების კითხვით ცდილობს. მაშ ასე, მივყვეთ კვალდაკვალ საბჭოურ სისტემას.

„კულტურული რევოლუციის“ მთავარ მიზანს წარმოადგენდა „ადამიანის შექმნა“. ეს იყო საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომლის გასამარტივებლად საჭირო გახდა სახელმწიფოში მასობრივი უწიგნურობის აღმოფხვრა... ამ წინადადებამ შეიძლება მოსწავლე დააბნიოს. უწიგნურობის აღმოხვრა თითქოს თავისთავად კარგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მიზანი? მიზანი კი მზაკვრული გახლდათ. „განათლებულ“ საზოგადოებაში ბევრად უფრო მარტივი იქნებოდა პროპაგანდისტული პრესისა და ლიტერატურის გავრცელება. ყოველივე ამის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების რწმენით, მთავრობის სურვილებსა და ყალიბზე მორგებული ინტელიგენცია ჩამოყალიბდებოდა. ასეთები არიან თამაზი და მისი ხელმძღვანელი.

ადამიანთა შემოქმედებითი აქტივობა მაქსიმალურად იყო გაკონტროლებული და ხშირად, პოლიტიზირებულიც კი. საბჭოთა ადამიანი აკეთებდა იმას, რაც მიღებული და მოწონებული იქნებოდა მთავრობის მიერ, ყოველი განსხვავებული ნაბიჯი აღქმული იყო, როგორც ღალატი, სისტემის მიმართ მტრული დამოკიდებულება. აუცილებელი იყო, რომ ხელოვნება გადაქცეულიყო მხატვრული ფორმებით „მოაზროვნე“ იდეოლოგიად. პარტიის პოლიტიკას უნდა დაედგინა და განესაზღვრა ხელოვნების ქმნილებების ფორმა და შინაარსი, პირველ რიგში, საბჭოთა ადამიანს შეუქმნეს ე.წ. „მტრის ხატი“. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის მოიაზრებდნენ მტრად. მთავარი იყო ფაქტი, რომ არსებობს ვიღაც, ვინც ჩასაფრებულია და ელოდება, როდის „დაიძინებს“ საზოგადოება და როდის მოადუნებს იგი ყურადღებას , რომ გამოჩნდეს, ავნოს მათ და დაანგრიოს „საათივით აწყობილი“ სახელმწიფო. სწორედ ამიტომ ატარებს გამოკითხვას ხელმძღვანელი. საბჭოთა სისტემას სურს გაიგოს, თუ რითი „სუნთქავს“ ადამიანი თავისუფალ დროს... *„და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღება უნდა მიექცეს მის „თავისუფალ დროს“.* ხალხის გასაკონტროლებლად მოსახერხებელი გზა იყო მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მონოპოლიზებაც. მას მალევე და დაუყოვნებლივ სჭირდებოდა ახალი და ახალი გეგმები, რათა მუშაობაში „გართულს“ ფიქრის დრო და სურვილი დაჰკარგვოდა. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ისიც, რომ საბჭოთა ადამიანში ჩაეკლათ ყოველგვარი ინდივიდუალიზმი. იგი არაფრით არ უნდა ყოფილიყო სხვა საბჭოთა ადამიანისაგან განსხვავებული. მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა უფრო მეტი ფული, უფრო კარგი სახლი... სწორედ ამიტომ აინტერესებთ მოსახლეობის კომუნალური პირობები.

ფაქტობრივად, ადამიანს არ აქვს ხელისუფლების ნებისაგან დამოუკიდებელი პირადი ცხოვრება. საბჭოთა ადამიანები მოქცეული იყვნენ ერთიანი „გამოძერწილი ღირებულებების“ სფეროში და მათი მართვა გაცილებით უფრო მარტივი ხდებოდა. უცილებელია აღვნიშნოთ ისიც, რომ გეგმიურად „გამოძერწილი“ საბჭოთა ადამიანები ქმნიდნენ პარტიულ ნომენკლატურას (იმ ადამიანთა ჯგუფებს, რომელთაც ეჭირათ მაღალი თანამდებობები. ნომენკლატურა წარმოადგენს ტოტალიტარული სახელმწიფოს მთავარ საყრდენს) და ე.წ. „წითელ ინტელიგენციას“. მათი დანიშნულება იყო კულტურისა და მეცნიერების გზით საზოგადოებაში კომუნისტური იდეოლოგიური ხაზის გატარება. ერთნი საბჭოთა იდეოლოგიას ემსახურებიან, მორგებული აქვთ შესაბამისი როლები და უბადლოდ ასახიერებენ იმ ტყუილს, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მოსწავლეებისთვის არც ისაა თავისთავად გასაგები, რომ სოციოლოგიური კვლევა საბჭოეთში არ არსებობდა და თუ არსებობდა, ან ისეთივე ფიქცია იყო, როგორიც ამ მოთხრობაშია აღწერილი, ან მასების უკეთ მართვისთვის სჭირდებოდათ, თუმცა მაინცდამაინც არც სჭირდებოდათ, რადგან სოციოლოგიური კვლევა ხალხთან შეიძლება ჩაატარო, თორემ მასების ფსიქოლოგია ადვილი გასაგებია, ხალხად ყოფნის საშუალებას კი სისტემა არ იძლეოდა. არსებობდა უამრავი ასეთი ინსტიტუტი, მეცნიერი თანამშრომელი თუ ხელმძღვანელი, რომლებიც აკეთებდნენ რაღაცას, რაც თავისთავად არავის სჭირდებოდა, მაგრამ ემსახურებოდა ტყუილის იდეოლოგიას, ამიტომ მსგავსი ინსტიტუტების შენახვაზე კრემლი უკან არ იხევდა.

ვასიკო კეჟერაძე სოციოლოგ თამაზს ინტერვიუს დაწყებამდე დააბნევს: თამაზი მას ვიღაცას აგონებს, *„აურელიანო სქელს, სანამ გასუქდებოდა, მარშალის ბიძაშვილს, ეულალიას ქმარს“.* გაუგებრობა მალევე გაირკვევა: „მისალოც“ თამაზს არც „ბეტანკურიანი რომანი“, არც „ანსელმოიანი რომანი“, ლიოსასი, მარიო ვარგასის წაუკითხავს და ამიტომ ლიტერატურის მოყვარულის მინიშნებებს ვერ ხვდება. ვასიკოს მინიშნებებს ვერც ხელმძღვანელი ვერ ხვდება, როცა ჯანჯაკომო სემინარიელს, მარშალ ბეტანკურის უფროს ძმას ადარებს... მარშალის ბიძაშვილთან მსგავსების გამო, თამაზი და მისი ხელმძღვანელი, რომელიც ჯანჯაკომო სემინარიოს, მარშალის უფროს ძმას ჰგავს, რეპრესიულ სახელმწიფოსთან ასოციაციას იწვევენ.

ვასიკო კეჟერაძეს XIX საუკუნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა დარად შეეძლო თავშესაფარი წიგნებში ეძებნა, თავისი წარმოსახვითი სამყარო შეექმნა. ლიტერატურა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოლიტიკურ ინსტრუმენტად ექცია. ლიტერატურა მისთვის ინდივიდუალური თავისუფლების სივრცეა. ვასიკო კეჟერაძე და კლიმი ფლობენ ყველა იმ ტექსტს, რომლებსაც ასახელებენ, თამაზი და მისი ხელმძღვანელი კი არ ფლობენ არც ერთს – უმრავლესობა არ წაუკითხავთ, რომლებიც წაუკითხავთ, არ გაუთავისებიათ. ვასიკო და კლიმი ერთადერთ რეალობად ლიტერატურას აღიარებენ, თამაზისა და ხელმძღვანელისათვის რეალურია მხოლოდ მატერიალური სამყარო და სავსებით არარეალურია ლიტერატურა. ერთი წყვილი ფიზიკურად ცხოვრობს მხოლოდ იმისთვის, რომ ურიცხვ მხატვრულ ტექსტში შეჭრის საშუალება მიეცეს. მეორე წყვილის შესაძლებლობები ამ თვალსაზრისით სრულიად დასაზღვრულია, ისინი მუდამ დარჩებიან მხოლოდ თავიანთი ერთადერთი მატერიალური ცხოვრების ამარა და შეეცდებიან, უკიდურეს შემთხვევაში, მხატვრული ნაწარმოები აქციონ მიწიერი სამყაროს ატრიბუტად (მაგალითად, იკითხონ დიკენსი ჩრდილში, ისიც ხანდახან). მწერალი მიგვანიშნებს, რომ თუ კაცი ცხოვრობს სულიერი ფასეულობებით, ამ შემთხვევაში – ლიტერატურის სიყვარულით, მაშინ მას შეუძლია თავი დაიხსნას თვით ტოტალიტარული ხელმძღვანელობის რეჟიმისგანაც.

კეჟერაძის სივრცე, თამაზისა და მისი ხელმძღვანელის სივრცისაგან განსხვავებით, იერარქიულად კი არა, თანასწორად არის მოწყობილი: *„თქვენთვის, მისალოცებისათვის“* – ეუბნება ვასიკო სოციოლოგებს – *„ზოგი – უფროსი ბრძანდებით, ზოგიც – უმცროსი, არ არსებობს მხოლოდ ტოლი... მე და კლიმი კი, აბა, რამ გაგვყო, მიწოდეთ მე თუნდაც ფოტოკაბინეტის მთავარი დირექტორი და იმას – თანაშემწე, მაინც ერთნი ვართ, რადგან: ჩვენ ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა“.*

ლიტერატურის მოყვარულები ერთმანეთს სრულ განურჩევლობამდე ჰგვანან. ამიტომაც, საჯარო სივრცის ცნება ზედმეტი ხდება. კეჟერაძე ტოტალიტარიზმის უნიფორმულობას, მართალია, გაურბოდა, მაგრამ თვითონ შექმნა ისეთი სივრცე, სადაც მხოლოდ ერთნაირად მოაზროვნე ადამიანების არსებობაა შესაძლებელი... მოსწავლეებს აბნევს სიტყვა „კარცერი“. კარცერს რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში ეძახდნენ განსაკუთრებით მკაცრ დისციპლინარულ სასჯელს სამხედრო მოსამსახურეებისა და პატიმრებისათვის უმკაცრეს პირობებში (იზოლაციას სინათლის და გათბობის გარეშე, საკვების სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვით). თავად სიტყვა, რომელიც ლათინურიდან მომდინარეობს და დილეგს ნიშნავს, რუსულსა და ქართულში გერმანულიდან შემოვიდა. აკადემიური იურისდიქციის ფარგლებში, XX საუკუნემდე, კარცერს, სასკოლო და საუნივერსიტეტო საპატიმროს, აღმზრდელობითი დანიშნულება ჰქონდა. გამოდის, რომ ვასიკო კეჟერაძე თავისი „პროექტით“ სიტყვას თავის პირველად მნიშვნელობას უბრუნებს. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში კარცერმა თავისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა დაკარგა. სტუდენტისათვის კარცერში მოხვედრა საპატიოდაც ითვლებოდა. ამიტომაც ეს სიტყვა არსებული წესრიგის წინააღმდეგ აჯანყების მნიშვნელობასაც ატარებს, რომელიც ჩაკეტილ სივრცეს თავისუფლების სივრცედ აქცევდა.

ეეეჰ, არ იცნობდნენ თამაზი და არც მისი ხელმძღვანელი აურელიანოს, თორემ მიხვდებოდნენ, რისი თქმა უნდოდა ამით ვასიკო კეჟერაძეს:

„...ერთ საღამოს პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ პოლკოვნიკ ხერინელდო მარკესს ჰკითხა:

– მეგობარო, იქნებ, მითხრა, რისთვის იბრძვი?

– რისთვისაც მოვალე ვარ ვიბრძოდე, მეგობარო, – უპასუხა პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა: – ლიბერალთა დიადი პარტიისათვის.

– ბედნიერი ხარ. იცი, რისთვისაც იბრძვი, – უთხრა პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ. – მე კი მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ სიამაყის გამო ვიბრძვი.

– ეგ ცუდია, – შენიშნა პოლკოვნიკმა ხერინელდო მარკესმა.

მეგობარს შეშფოთება რომ შეამჩნია, პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიას გაუღიმა:

– რა თქმა უნდა, ცუდია, – უთხრა მან, – მაგრამ იმას მაინც სჯობს, როცა სულ არ იცი, რისთვის იბრძვი, მერე მეგობარს თვალებში ჩახედა და კვლავ ღიმილით დაუმატა: ან როცა ისეთი რაღაცისთვის იბრძვი, აი, მაგალითად, შენსავით, რაც არავის არაფრად სჭირდება.“

ეეეჰ, რა ექნა ხელმძღვანელს, დიდი ჯაჭვის პატარა რგოლი იყო, ამა ქვეყნის ძლიერთა საამებლად მოვლენილი, ბრმად და მორჩილად მიჰყვებოდა ზემოდან ნაკარნახევ და ძალისმიერად შექმნილ დინებას და მისი მარცხი ჯაჭვის მომცრო რგოლს, თამაზს რომ არ შეემჩნია, იმიტომაც ჩამოალაბორანტა...

ლია გოგოხია

ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://mastsavlebeli.ge/?p=9159
24 თებერვალი, 2016, თეონა ბექიშვილი
გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“;
2. https://www.scribd.com/doc/49236968
ქართული მწერლობა – საბჭოთა სისტემაში რეალობის განზომილება. ნინო ბექიშვილი; გიორგი კეკელიძე;
3. გურამ დოჩანაშვილი – „სამოსელი პირველი“, თბ., 2011წ.;
4. გაბრიელ გარსია მარკესი – „მარტოობის ასი წელიწადი“ SABA.COM.GE (ელექტრონული ვერსია).

ფიქრით გაჯერებული სამყარო

ოთარ ჭილაძე, „ადამიანი გაზეთის სვეტში“

ოთარ ჭილაძის მხატვრულ სამყაროსთან შეხება უცნაურად გავსებს და ერთი შეხედვით მარტივ ჭეშმარიტებებს საოცრად და განსაკუთრებულად შთამბეჭდავად გაზიარებს. ფიქრობ, რომ ეს ისედაც იცოდი, გინდოდა გეთქვა, მაგრამ ასე სადად და გასაგებად გამოთქმა ცხოვრების, ადამიანის შინაგანი სამყაროს სხვა კუთხით ჭვრეტას მოითხოვს. გაკვეთილზე პოემას ვკითხულობ, თვალს ჩუმად ვაპარებ მოსწავლეებისკენ... ყველა ჩაფიქრებულია, თითქოს მათი სათქმელი დღის სინათლეზეა გამოტანილი... ოთარ ჭილაძემ დაგვაფიქრა...

ნეტავ სად გადის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას, სიმართლესა და ტყუილს შორის? სიძულვილის, მტრობის დაძლევა და სიკეთის გამრავლების გზების ჩვენებაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ლიტერატურული ტექსტები გვთავაზობს მკითხველთ. რეალური ცხოვრება, პრაგმატიზმითა და უსიყვარულობით გაჯერებული, უფრო და უფრო აცარიელებს ტექნოკრატიული მიღწევებით გაბრუებულ და თავის თავში ზედმეტად, გადაჭარბებულად თავდაჯერებულ ადამიანს. არადა, პასუხისმგებლობა, სიყვარული, სინანულის უნარი, თანაგრძნობა უმნიშვნელოვანესია ადამიანისთვის. სწორედ ამ სულიერი ფასეულობების მარადიული მაძიებელი უნდა იყოს ადამიანი და არა ეჭვებით, შიშით, გაიძვერობით, სიძულვილით შეჭმულ-გამოხრული. ადამიანმა თუ სინდისს, „მამხილებელ გონებას“, თვალი მოუხუჭა, დიდოელი ლეკის გათელილ ნაბადს დაემსგავსება; ფიქრის უნარი თუ დაკარგა, თავისუფლების განცდა მომხვეჭელობასა და სხვის განადგურებაში თუ აერია, დაეკარგება ადამიანობის განმსაზღვრელი სასიცოცხლო იმპულსები. თავისუფალი ნება და იძულებითი მოვალეობა ერთმანეთისგან უნდა განირჩეს, ეს კი საკუთარ ვნებებთან, სურვილებთან მუდმივ ბრძოლაში გამოიხატება. ადამიანი ბედნიერებისკენ მიისწრაფვის, რეალურად კი უარჩევნო ყოფაა ამქვეყნიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი. წუთისოფელი წამიერი ბედნიერებების, და უფრო მეტად, ხანგრძლივი ტანჯვის კალეიდოსკოპივითაა. ოთარ ჭილაძის აზრით, ანგარებით, გულგრილობით, სიბრიყვით, უვიცობით, შიშით გადათანგული და გამოფიტული ადამიანის გადამრჩენი სიყვარულია, თანაგრძნობაა, სხვისი უბედურებისა და სურვილების გაზიარებაა, მის მდგომარეობაში ყოფნის უნარი და სურვილია.

„ადამიანი გაზეთის სვეტში“ იწყება ბიბლიური ალუზიით, რაც საინტერესოდ ათვალსაჩინოებს ადამიანთა სხვადასხვაგვარ სულიერ მდგომარეობას. სახარებისეული „მთესველის იგავი“ (მათე, 13, 1-23; მარკოზი, 4, 1-15; ლუკა, 8, 4-15) პოემის მთავარი სათქმელის გააზრებაში გვეხმარება. პოეტის აზრით, მარცვლის თავთავად ქცევა და ხალხის სულიერ-ხორციელად დაპურება ჩვენი ამქვეყნად მოსვლის მიზანია. სწორედ ეს „პური არსობისა“ არის ჩვენი გადამრჩენი, გაღმა ნაპირზე გადამყვანი. *„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელად“* (გრ. ორბელიანი, „ჰე, მამულო“). სი-

საუბრები ლიტერატურაზე

ცოცხლისთვის ბრძოლას მაშინ აქვს აზრი, თუ ის სიკეთეში გადადნება, ადამიანის არსებობის გამართლებას მოხმარდება, სხვის გადარჩენასა და გაკეთილშობილებას მიეძღვნება.

კრუს ხიმენესი – თბილ ხნულში გაღვივებული მარცვალი – პანამელთა თავისუფლებას ეწირება. ის ხვდება, *„ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც“*. უსამართლო რეალობას შეჯახებული ახალგაზრდა ჯარისკაცი სრულიად დაცლილია *„სულის საჭურისობისგან“*. მას არ ეშინია *„სიკვდილის...სიმშილის“* (ნიკო ლორთქიფანიძე, „მონა“); ხვდება, რომ უიარაღო დემონსტრანტები არავის ერჩიან, თავიანთი თავისუფლებისათვის, თვითმყოფადობისთვის იბრძვიან, სხვისი არაფერი უნდათ. ამერიკა, თავისი დამრბევი დესანტით, ყველა მჩაგვრელის განზოგადებული სახეა. ეს პოემა 1963 წელს არის შექმნილი. ცოტა მოგვიანებით, 1889 წლის 9 აპრილს, რუსის ჯარმა ბარებითა და ნიჩბებით აჩეხა ჩვენი ლაღი უდანაშაულო გოგო-ბიჭები, რომლებიც არავისას ითხოვდნენ, სანთლებით ხელში „შავლეგოსა“ და „ჩემო კარგო ქვეყანას“ მღეროდნენ, თავიანთ მიწა-წყალზე ისხდნენ და შეუპოვრად ელოდნენ დასარბევად, გასათელად შემოსულ რუსის ტანკებსა და მათ „სალდათებს“; არ ელოდნენ, არ ეგონათ, რომ არ დაინდობდნენ, ასეთ ვანდალიზმს რომ გამოიჩენდნენ, მაგრამ...

გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „ორნი აქა-იქა“ შემზარავი პასაჟებით ასახავს ქართველთა გვამებზე მდგარი გავეშებული, დადოპინგებული რუსის ჯარისკაცების ნადიმს; დამთრგუნველია დიდი რუსთაველის პროსპექტზე ბატონკაცურად მოთარეშე ბრბოს სისასტიკე; „ვალმოხდილი“ სტასიკა, გვამებზე ზეაღმართული, გამარჯვებული სახით კუთვნილ „პაიოკს“ მადიანად ილუკმებოდა და არბევდა იმ გეოგრაფიულ ლოკალს, რომელმაც, მისი აზრით, სტალინი შექმნა. მისთვის და მისნაირებისთვის ქართველები თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხი კი არა, ურჩი, ვიღაც „რუსტაველის“ შთამომავალი ეთნოსი იყო, რომელიც ეურჩებოდა დიდ კავშირს საბჭოეთისას. გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „ორნი აქა-იქა“ იმავე ტკივილის მატარებელია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამერიკელებსა და პანამელებს შორის ხიდივით გადადებული ახალგაზრდა ხიმენესი აკლია ბარ-ნიჩბებით შეიარაღებულ იროდის „ლაშქარს“.

ტექსტზე მუშაობისას საინტერესო იქნება, მოსწავლეებმა გაიაზრონ რამდენიმე სახე-სიმბოლო, როგორებიცაა: მარცვალი (პური), ხიდი, სისხლი და სხვ. კარგი იქნება, თუკი ბავშვებს მათ სიმბოლურ მნიშვნელობებს მოვაძებნინებთ; მაგ., პური ცხოვრებისთვის, არსებობისთვის აუცილებელი სუბსტანტია. ტექსტში კრუს ხიმენესი ამბობს: *„ჩემი სხეული სისხლის გუბეზე ხიდივითაა გადამხობილი დასასჯელებს და დამსჯელებს შორის“* (ჭილაძე, 2010:218). ხიდი ხილული მეტაფორაა ორ სამყაროს შორის კავშირისა. მოწინააღმდეგე მხარეებს შორის ბაბილონის გოდოლი აღიმართა, მათ, მტრობისაგან თვალახვეულებს, ერთმანეთის არ ესმოდათ. პირისპირ აღმოჩნდნენ დამსჯელები (ამერიკა) და დასასჯელები (მშვიდობიანი პანამელი დემონსტრანტები). მათ შორის მხოლოდ ტყვია მოციქულობდა, რომელიც სისხლის ღვრასთან ერთად ყველანაირ ადამიანურ ურთიერთობებს საფუძველს აცლიდა და მტრობად, დაპირისპირებად გარდაქმნიდა.

კრუს ხიმენესში კათარზისი მოხდა, რის წყალობითაც მიხვდა, რომ *„ადამიანი ძირგავარდნილი ქვევრია“* (ილია), *„საწყაული აღუვსებელია“* (ნიკოლოზ ბარათაშვილი); რომლის *„სტომაქი ვერ ძღება კუთვნილი პურით, წყლით და ჰაერით“* (ჭილაძე, 2010: 421) და *„ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც“* (ჭილაძე, 2010: 417). კრუს ხიმენესი სიკვდილის წინ, აგონიაში მყოფი, წარსულში, ხსოვნაში გადაინაცვლებს, ამიტომაც ენატრება *„ასე მტანჯველად“* ყველაზე მშობლიურის აღმნიშვნელი ნიშნები: ძველისძველი საწოლი, წყალი და დედა. მისი სიკვდილი, შეიძლება ითქვას, გარკვეული მიმართებით მოწამებრივი სიკვდილია. ის ნებაყოფლობით ეკვლევინება საკუთარ თანამოძმეებს, თავისი სიკვდილით უფრო დიდ სიკვდილს უღებს ბოლოს. თრგუნავს დაუნდობლობას და კაცთმოძულებას და სიკეთედ გარდაქმნის მათ. ის სიწმინდის შარავანდედით იმოსება, მასთან ერთად მთელი ქვეყანა ცოდვათაგან წვიმით (ციური ცვრით) ირეცხება, მადლმოსილი ხდება; ხალხი ფიქრდება და ხვდება, რომ ამქვეყნიური ცხოვრება, *„ვითარცა ყვავილი ველთაი წარმავალ არს და დაუდგრომელ“* (ცურტაველი).

„ვინ რა იცის, მართლა რითი მთავრდება სიკვდილი?! ვინ რა იცის, რა არის კაცის სიცოცხლე?! არაფერი, წამი, წუთი, შემოჰკრა ქარმა და სწრაფ გააქრო, მაგრამ, თუკი, როგორმე წარსულში შებრუნდი, შესძელი, მერე კი წარსულიც გადალახე, მარადისობაში აღმოჩნდები თურმე და აღარასოდეს მოკვდები. განა სულ ამას არ ნატრობს ჩუმის ნატვრითა ადამიანი?!“ (ჭილაძე, 1987: 5). კრუს ხიმენესი მარადისობის მკვიდრი გახდა თავისი სისხლის დათხევით. მტერი შეიყვარა, თავი გასწირა მისთვის. სიყვარულის ჭეშმარიტი მაგალითი აჩვენა თანამოძმეებსაც და პანამელებსაც. ის გადადნა, გარდაიცვალა და ფერი იცვალა მხოლოდ. სიკვდილით კი ისინი იხოცებიან, ვისაც არ სჯერა, რომ *„დედამიწას სიყვარული ატრიალებს“* (გ. დოჩანაშვილი).

სიკვდილამდე კრუს ხიმენესი ახალგაზრდა პანამელ გოგონას ხვდება (სრულ ვერსიაში), რომელსაც *„მკერდით მოჰქონდა მინდვრის სურნელი, თმებში ჩაწვნოდა თივის ბულული“* (ჭილაძე, 2010: 419). ბიჭი აცნობიერებს, რომ ამ მშვენიერებას არ უნდა ესროლოს. გოგონა კრებითი სახეა ქალისა, უბერებელი ევაა, რომელიც სილამაზისა და სიკეთის ჩამთესველად ევლინება იარაღასხმულ ბიჭს. ამიტომაც ეზედმეტება, ეროტირება ავტომატიანი სულთამხუთავის პერსონად *ყოფნა. „მე შემეჯავრა ჩემი მუნდირიც და ავტომატიც“* (ჭილაძე, 2010:419). სინაზითა და უცნაური გრძნობით აღვსილი ახალგაზრდა ჭაბუკი ფიქრით უკან იხევს და ეს უკან სვლა რეალურ, გონებით გააზრებულ დახევაში, მტრის სიყვარულში, მათი სურვილების გაგებაში გადაიზრდება.

კარგი იქნება, თუკი მოსწავლეებს ყურადღებას გავამახვილებინებთ პოემის არქიტექტონიკაზეც. „ადამიანი გაზეთის სვეტში“ ათმარცვლიანი მეტრითაა დაწერილი (ჭილაძის ათივე პოემა ათმარცვლიანია). მართალია, ის პროზისთვის დამახასიათებელი სტრიქონებითაა გაწყობილი (რადგან თეთრი ლექსითაა დაწერილი), თუმცა ათმარცვლოვანის მეტრი მკაცრადაა დაცული.

„ოთარ ჭილაძის პოემები აღბეჭდილია შინაგანი მონოლოგის ყოველი აუცილებელი ნიშნით. მის ქმნილებებში დგას ლირიკული პერსონა – მთავარი გმირი, რომელიც საუბრობს საკუთარი სულის პრიზმაში გარდატეხილი საგნებისა და მოვლენების ნაკვალევის ირგვლივ“ (სიგუა, 2009:243). ოთარ ჭილაძის სიტყვის ძალა მოგმართავს სიკეთის კეთებისკენ, მართალი, ჭეშმარიტი საქციელისკენ. ჭილაძემ მწერალი დავიწყებული ცოდნის საფლავზე დარგულ იმ ხეს შეადარა, ადგილის ხსოვნა რომ ევალება. მართლაც, ხსოვნის დარაჯობაა ღირებული ლიტერატურისა და მწერლის მისია. ოთარ ჭილაძის მხატვრული სამყარო გაბედნიერებს და გაკეთილშობილებს.

დანიელი მწერალი, ლარს ბონნევი „რკინის თეატრის“ დანიურ ენაზე გამოქვეყნებისას წერდა, რომ *„მსოფლიო რუკაზე საქართველო დაბრუნდა“*, მას „კავკასიელი მარკესი“ უწოდეს, თუმცა მარია ტეტცლაფმა (დანიელი მწერალი) ამასთან მიმართებით სამართლიანად აღნიშნა: *„ჭილაძეს სულაც არ სჭირდება მარკესი, როგორც სარეკლამო ლოკომოტივი“* (კვაჭანტირაძე, 2009: 75).

ამ შეფასების შემდეგ ხომ არ დავფიქრდეთ მეტად?! 1999 წელს, როცა ოთარ ჭილაძე სტოკჰოლმში ნობელის პრემიის ნომინანტად დასახელდა, რუსულ საიტებზე(!) ნობელის კომიტეტის არაობიექტურობით აღშფოთებული რუსი კრიტიკოსები *წერდნენ: „ოთარ ჭილაძეს ისევე არ სჭირდება ნობელის პრემია, როგორც ჩაიკოვსკის – გრემი“*. ისინი ამუნათებდნენ ნობელის კომიტეტს ლიტერატურის დარგში, ჩვენთან კი გულხელდაკრეფილი, უშფოთველი განწყობა იყო. არც პრეზიდენტს შეუწუხებია თავი, ჩემი ჩარევით ხელი არ შევუშალოო და არც სხვა ინსტანციებში არ ყოფილა შესაბამისი რეაქცია. ასე თუ ისე, ჩვენ რეალური ნობელის პრემია (ლიტერატურის დარგში) დავკარგეთ ისევ ჩვენი უნიათობითა და უმოქმედობით. ვფიქრობ, ჭილაძის სიტყვის მადლი და ძალა მეტად უნდა შევაგრძნობინოთ ჩვენს ახალგაზრდებს, თორემ ეს თაობა ოთარ ჭილაძეს კედლებსა თუ საიტებზე მიწერილი ორიოდე ფრაზით (*„შენ ხარ, რაც უნდა აქამდე მეთქვა, შენ ხარ ოთახში ჰაერზე მეტი“*) იცნობს. ჭილაძე ხომ გაცილებით დიდია...

მაია მენთეშაშვილი
სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯაროს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. **გურამ დოჩანაშვილი,** ოთხი მოთხრობა, „ორნი აქა-იქა“, თბილისი, 1991,გვ., 3-26;
2. **მანანა კვაჭანტირაძე,** ოთარ ჭილაძე 75, ჟურნ. „არილი“, Monday, july, 2009, „ლიტერატურა – ცხელი შოკოლადი“;
3. **სოსო სიგუა,** ოთარ ჭილაძის პოემები, ქართული ენა და ლიტერატურა, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ტომი V, თბილისი, 2009;
4. **ოთარ ჭილაძე,** რომანი „მარტის მამალი“, თბილისი, 1987;
5. **ოთარ ჭილაძე,** ლექსები, პოემები, გამომც. „პეგასი“, თბ.,2010, „ადამიანი გაზეთის სვეტში“.

ინფორმაცია

პროფესიული განათლების ჰაკათონი

ინოვაციური იდეები და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარი ის პლატფორმაა, რომელიც დასაქმებისა და თვითდასაქმების რეალურ შესაძლებლობას განაპირობებს. სწორედ ამ შესაძლებლობების შექმნისა და განვითარების მიზნით, პროფესიული განათლების ფარგლებში, ვითარდება სამეწარმეო განათლება და ამ მიზნითვე ჩატარდა ე.წ. „ჰაკათონიც“, რომლის ფარგლებშიც პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებმა საკუთარი ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური იდეის პროტოტიპები შექმნეს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, 14 სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორიები (ფაბლაბები) ფუნქციონირებს, სწორედ ამ ფაბლაბების გამოყენებით დაამზადეს ფინალურ ეტაპზე გადასულმა სტუდენტურმა ჯგუფებმა იდეების პროტოტიპები.

ჰაკათონი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა. მისასალმებელია ახლაგაზრდების მიერ დაფუძნებული კომპანიის EUHACK-ისა და კერძო სექტორის ჩართულობა ამ პროცესში. კერძო კომპანიებმა – დამსაქმებელთა ასოციაცია, ფერმერთა ასოციაცია, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ენერგო-პრო, თეგეტა მოტორსი და ბილაინი – წარმატებული გუნდებისთვის ჯილდოები დააწესეს.

ჰაკათონის დასკვნით ეტაპზე 9 გუნდი გადავიდა, მათ მიერ წარმოდგენილი იდეის პროტოტიპებიდან, გამარჯვება მოიპოვა: „სმარტ რუკამ“ – გუნდი „Eternal“, კოლეჯი „სპექტრი“; „მოწყობილობამ შშმ პირებისთვის“ – გუნდი „პანაცეა“, კოლეჯი „ოპიზარი“; „ღვინის ბოთლის ინოვაციურმა შეფუთვამ“ – გუნდი „თაიგული“, კოლეჯი „მერმისი“; „სამკურნალო მცენარეების საშრობმა აპარატმა“ – გუნდი „ეკო“, კოლეჯი „ოპიზარი“; იდეამ – „სამზარეულოს მინი-სათბური“ – გუნდი „Healthy“, კოლეჯი „ბლექსი“; „დაცვის სისტემამ“ – გუნდი „Nano”, კოლეჯი „ბლექსი“.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: *„როდესაც საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას ვაკვირდებით, ვხედავთ, რომ პროფესიული განათლება არ მოიაზრება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული ხელობის დაუფლების მექანიზმად იმისათვის, რომ ადამიანი დასაქმდეს შრომის ბაზარზე. ევროპის ქვეყნებში პროფესიულ განათლებას უკვე მოიაზრებენ მექანიზმად, რომელიც ხელს უწყობს ადამიანს თვითგანვითარების გზაზე, ასევე შემოქმედებითი მიდგომების გამომუშავებას, შესაბამისად, უხსნის გზას ბიზნესის ასპარეზზე. ამ ასპექტებს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაც ითვალისწინებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პარტნიორებთან ერთად, ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომების დანერგვას პროფესიულ განათლებაში. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა და დაინერგა სამეწარმეო განათლების მოდულები პროფესიულ განათლებაში.*

პირველი ჰაკათონი, პროფესიული განათლების მიმართულებით, ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების სტუდენტებს, ოცდამეერთე საუკუნის შესაბამისად განივითარონ უნარები და შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, შეიმუშაონ ინოვაციური იდეები, შექმნან პროტოტიპები, ისარგებლონ თანამედროვე ტექნოლოგიებით, რომლებიც უკვე დანერგილია სასწავლებლებში ფაბლაბების სახით და იმუშაონ საკუთარი სამეწარმეო მომავლის განვითარებაზე.“

ნინო ზამბახიძე, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე: *„ვფიქრობ, ეს პროექტი, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ტექნოპარკთან ერთად, ახორციელებს, ძალიან მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდას, მეწარმეს საშუალება ეძლევა, ინოვაციურად წარმოადგინოს ბიზნეს იდეები, შემდეგ უკვე განვითაროს საკუთარი ბიზნესი. მსგავსი პროექტები ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი გარემოს წარმოქმნას, შესაბამისად, ბევრი ახალგაზრდის მოტივირებას. ჩვენ, როგორც ფერმერთა ასოციაცია, იქიდან გამომდინარე, რომ რამდენიმე ინოვაციური პროექტი პროფესიული სასწავლებლებიდან სწორედ სოფლის მეურნეობის კუთხითაა წარმოდგენილი, ვაპირებთ დავაჯილდოვოთ ეს ახალგაზრდები ჩვენი განსაკუთრებული პრიზებით.“*

მარიამ ცეცხლაძე, კოლეჯ „ბლექსის“ სტუდენტი: *„პირველ რიგში, აღვნიშნავ იმას, რომ პროექტზე მუშაობა ძალიან საინტერესო და ინოვაციური იყო. ჩვენს გუნდს პირველად მიეცა საშუალება, ჩართულიყო მსგავს აქტივობაში. ბათუმის პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ ორივე გუნდი გახდა როგორც ენერგო-პრო ჯორჯიას, ასევე ფერმერთა ასოციაციის ფავორიტი გუნდი და ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამისთვის. მივიღეთ ფულადი პრიზები, რაც, დარწმუნებული ვარ, ჩვენი პროექტის იდეის განხორციელებაში დაგვეხმარება. მადლობა მინდა გადავუხადო, ასევე, განათლების სამინისტროს, „სტარტაპ საქართველოს“, ტექნოპარკს, პროექტში ჩართვის საშუალება რომ მოგვცეს.“*

ვირტუალური რეალობის ლაბორატორია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოში პირველი, გაფართოებული ვიზუალიზაციის და ვირტუალური რეალობის ლაბორატორია (VRLab Iliauni) გაიხსნა.

VRLab Iliauni დაეხმარება სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს როგორც სასწავლო, ისე კვლევით პროცესში, კერძოდ:

- სიმულაციების შექმნასა და მოდელირებაში;
- კვლევისა და სწავლების ვიზუალიზაციაში;
- მოწინავე პროგრამულ აპლიკაციებსა და მონაცემთა ვიზუალიზაციის ტექნიკებში ვარჯიშში.

ლაბორატორია ხელოვნების, მეცნიერებისა და ინჟინერიის მიმართულების მკვლევრებს კვლევის სიმულაციის, მოდელირებისა და ვიზუალიზაციის შესაძლებლობას მისცემს, რათა მონაცემები დიდი მასშტაბისა და მაღალი რეზოლუციის ვიზუალიზაციის მქონე ეკრანებზე გადაიტანონ.

ლაბორატორიას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობის პროცესშიც გამოიყენებს.

ლაბორატორიის აღჭურვილობა (ვირტუალური/გაფართოებული რეალობის მოწყობილობები, პოზიციური მოძიების კამერები და სენსორები, თავზე დასამაგრებელი მონიტორები) იძლევა შესაძლებლობას, შეგრძნებების დონეზე, მოდელირებული რეალობის ნაწილი გახდე, მაგალითად: იმოგზაურო მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში; კლავიატურისა და მაუსის გარეშე, საკუთარი ხელების მოძრაობით, ვირტუალურად დააპროექტო შენობები; გააუმჯობესო ტურიზმის მარკეტინგი; ყოველგვარი დანახარჯის გარეშე შექმნა და სასურველი შედეგის მიღებამდე ცვალო საკუთარი იდეების პროტოტიპები.

უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა

ავთენტური მასალის აუდირება

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ რუსული ენის სწავლებისადმი მიდგომა სხვაგვარი იყო, ისწავლებოდა რუსული ენა და ლიტერატურა. ეროვნული სასწავლო გეგმის დამკვიდრებამ სრულიად შეცვალა ამ საგნისადმი დამოკიდებულება. ის განიხილება და ისწავლება, როგორც უცხოური ენა. ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენის სტანდარტის სტრუქტურა, შინაარსი შეესაბამება უცხოური ენების „საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს“ მიერ დადგენილ სწავლა-სწავლების მიზნებსა და დონეებს. ამ მიზნების რეალიზება 6 მიმართულებით მიმდინარეობს: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა, კულტურათა დიალოგი, სწავლის სწავლება. აუდირება მჭიდროდაა დაკავშირებული ყველა დანარჩენ მიმართულებასთან. ტერმინი „აუდირება“ უცხო ენის სწავლებაში XX საუკუნის ბოლოს შემოვიდა, იქამდე არსებული მოსმენის სანაცვლოდ. ცოცხალი მეტყველებისა თუ ფონოჩანაწერის ჩვეულებრივი მოსმენისაგან განსხვავებით, აუდირება აქცენტს უშუალოდ ინფორმაციის გაგებაზე აკეთებს. აუდირების დროს გამოყოფენ სწავლების სამ ეტაპს:

1. ტექსტამდე მუშაობა (შესავალი სიტყვა, სალექსიკონო მუშაობა);
2. აუდიოტექსტზე მუშაობა (შინაარსის გააზრება);
3. ტექსტის შემდგომი მუშაობა (მოსაზრებების გამოთქმა, შეჯამება, იმპლიციტური ინფორმაციის გაგება).

მე-10 კლასის რუსული ენის სახელმძღვანელოში (ავტორები: მ. ლორთქიფანიძე, ი. ჩხეიძე, თ. ჩიმაკაძე) შეტანილია ა.ს. პუშკინის ლექსი „Я вас любил“, რომელიც გვაძლევს საშუალებას, აუდირებისათვის გამოვიყენოთ ავთენტური მასალა – ლექსი რუსი მსახიობების წაკითხვით (https://www.youtube.com/watch?v=_1qvH4fr4Kw) ან რომანსი (https://www.youtube.com/watch?v=9ioaLQ1vBjU) რუსი მომღერლების შესრულებით.

ამ გაკვეთილის სასწავლო მიზანია: ლექსიკური მარაგის გამდიდრება, მხატვრული ნაწარმოების ტექსტის გაგება, გააზრება, აუდირების კომპეტენციის განვითარება, ტექსტში არსებული იმპლიციტური (მორალურ-ზნეობრივი) ინფორმაციის ამოცნობა და განხილვა.

მიზანი და შედეგები ესგ შესაბამისად:

უცხ. X.4. მოსწავლე შინაარსის გასაგებად იყენებს სათანადო სტრატეგიებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ცოცხალი მეტყველების/ჩანაწერის გასაგებად იშველიებს არავერბალურ ელემენტებს (ხმის ტემბრი, ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, სხვადასხვა ტიპის ხმაური, ლოგიკური მახვილები...).

ნაცნობ ელემენტებზე დაყრდნობით ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების, წინადადებების, მნიშვნელობას.

უცხ. X.5. მოსწავლე განსაზღვრავს მოსმენის მიზანს და იყენებს შესაბამის სტრატეგიას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ნაცნობ სიტყვებსა და გამოთქმებზე დაყრდნობით ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციას, მთავარ თემას, საკითხებს, ამოკრებს კონკრეტრულ ინფორმაციას.

აუდიოტექსტზე მუშაობის პირველი ეტაპი

პროექტორის საშუალებით ვუჩვენებთ პორტრეტებს (პუშკინის მეგობრები, ძიძა, დედა, ქალბატონები პოეტის ცხოვრებიდან) და კლასს ვუსვამთ შეკითხვას:

Кому мог бы посвятить А.С. Пушкин это стихотворение – другу, няне, матери или какой-нибудь женщине?

დაფაზე გამოგვაქვს ლექსის სათაური „Я вас любил...“ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, რის შესახებ შეიძლება იყოს ეს ნაწარმოები, ვთხოვ, ყურადღება მიაქციონ წარსული დროის ზმნას – любил, რადგანაც ის გვაძლევს გასაღებს ლირიკული ლექსის შინაარსისა და იდეის გასაგებად.

მასწავლებლის მოკლე შესავალი სიტყვა – მინი-ლექცია ნაწარმოების შექმნის ისტორიაზე.

В 1829 году А.С. Пушкин написал, пожалуй, одно из самых знаменитых своих стихотворений „Я вас любил... По сей день спорят о том, кому именно было адресовано это послание, так как поэт ни оставил ни одного намека на то, кто является адресатом этого стихотворения. По одной из версий, стихотворение „Я вас любил...“, написанное в форме прощального письма, посвящено польской красавице Королине Сабаньской, с которой поэт познакомился в 1821 году. После перенесения восполения легких, Пушкин побывал на Кавказе и по дороге в Кишинев остановился в Киеве, где и был представлен княжне. Несмотря на то, что она была старше поэта на 6 лет, ее удивительная красота, грация и надменность произвели на Пушкина неизгладимое впечатление. Спустя два года они встретились в Одессе, где чувства поэта вспыхнули с новой силой, однако не были встречены взаимностью. В 1829 году Пушкин последний раз видит Королину в Санкт-Петербурге и поражается насколько она постарела. От былой страсти, которую поэт испытывал к княжне не осталось и следа, однако в память о былых чувствах он создает стихотворение „Я вас любил...“

По другой версии, это произведение адресовано Анне Алексеевне Олениной, в замужестве – графине де Ланжерон, с которой поэт познакомился в Санкт-Петербурге. Поэта пленили не ее красота и изящество, а острый и пытливый ум, а также находчивость, с которой она парировала шутливые реплики поэта. Многие люди из окружения А.С. Пушкина были убеждены, что у него с прекрасной графиней – бурный роман. Однако, по утверждению Петра Вяземского, Пушкин лишь создавал видимость интимных взаимиотношений с известной аристократкой, так как с ее стороны не мог рассчитывать на ответные чувства. Между молодыми людьми вскоре произошло объяснение и графиня призналась, что видит в поэте лишь друга. В итоге появилось стихотворение „Я вас любил...“, в которой он прощается со своей избранницей, заверяя ее в том, что пусть его любовь „вас больше не тревожит“.

შესავალი სიტყვა ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესებას, მოტივაციის ამაღლებას. რის შემდეგაც მოსწავლეებს ვთხოვთ, დაასახელონ სავარაუდო სიტყვები, რომელიც შეხვდებათ ტექსტში.

აუდირების პროცესში, სტრესის მოხსნის მიზნით, ვატარებთ სალექსიკონო მუშაობას. ეკრანზე გამოგვაქვს სიტყვები: угасла – исчезла, ჩაქრა; тревожит – беспокоит, волнует; печалить – огорчать; робость – მორიდება, რიდი; томиться – мучиться.

დაფაზე გამოტანილია სინონიმები და მოსწავლეები აკავშირებენ მათ:

1. Исчезла	а. тревожит
2. Печалить	б. томиться
3. Мучиться	г. молча
4. Волнует	д. огорчать
5. Безмолвно	е. угасла

მოსწავლეებს არეულად ვაძლევთ სიტყვებს: безнадежно, вас, безмолвно, томим, я, любил, нежно, ревностью და ვთხოვთ შეადგინოს სიტყვების პირამიდა, მაგალითად:

Я
Я любил
Я любил вас
Я любил вас нежно
Я любил вас нежно, безмолвно
Я любил вас нежно, безмолвно, безнадежно
Я любил вас нежно, безмолвно, безнадежно, томим
Я любил вас нежно, безмолвно, безнадежно, ревностью томим

მიზანმიმართული სალექსიკონო მუშაობის შემდეგ დგება ტექსტის აუდირების მომენტი. მომზადებული გვაქვს როგორც ლექსის კითხვის ვარიანტი (ვიდეოკლიპი), ასევე რომანსის შესრულება. დადგენილი არ არის, რამდენჯერ უნდა მოვუსმინოთ ტექსტს აუდირების პროცესში. მიზნიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, სამჯერ მოვახდინოთ აუდირება. აუდირების წინ მოსწავლეებს ეძლევათ შესაბამისი ინსტრუქცია. გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილი თავდაპირველად მოვუსმინოთ მხატვრულ კითხვას (https://www.youtube.com/watch?v=_1qvH4fr4Kw) (ორჯერადი აუდირება) და შემდეგ, მესამე მოსმენაზე – რომანსს (https://www.youtube.com/watch?v=9ioaLQ1vBjU) .

პირველი მოსმენა

მოსწავლეებს ურიგდებათ ტექსტი, სადაც გამოტოვებულია სიტყვები, ისინი აუდირების პროცესში ჩაწერენ სიტყვის სწორ ვარიანტს. ბავშვები წარმოადგენენ შესრულებული დავალების პრეზენტაციას. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, გასაგებია თუ არა მოსწავლეებისათვის ტექსტის შინაარსი. ამ მიზნით, მოსწავლეებს ვთხოვთ, განმარტონ შემდეგი ფრაზები: угасла не совсем; пусть не тревожит; то робостью, то ревностью томим; дай вам бог любимой быть другим; не хочу печалить вас ничем.

მეორე მოსმენა

ამჯერად მოსწავლეებს ვაძლევთ დავალებას, კიდევ ერთხელ მოუსმინონ ტექსტს და უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

1. Как любил поэт адресата стихотворения?
2. Исчезла ли эта любовь в душе поэта?
3. Какого желание поэта, хочет он тревожить, печалить возлюбленную?
4. Что томило А.С. Пушкина?
5. Что желает автор адресату стихотворения?

მესამე მოსმენა

ამჯერად მოსწავლეები უსმენენ უკვე რომანსს და მათ ეძლევათ კითხვები განსჯისა და საკუთარი მოსაზრების გამოსათქმელად. კითხვები გამოტანილია ეკრანზე და მოსწავლეები არგუმენტირებულ შეხედულებებს გამოთქვამენ:

1. Как вы думаете, любила ли автора та, которую он так сильно любил?
2. Любит ли все еще поэт женщину, которой желает „любимой быть другим“?
3. Отказывается ли А.С. Пушкин от своей любви? Почему он желает своей возлюбленной любимой быть другим?
4. Как по вашему, можно ли отказаться от собственных чувств ради любимого человека?

მოსწავლეებს ეძლევათ საშინაო დავალება – ჩაუღრმავდნენ ა.ს. პუშკინის ლექსის „Я вас любил...“ შინაარსს და მოემზადონ მსჯელობისათვის ნაწარმოების შინაარსის ირგვლივ.

ამ გაკვეთილის მთავარი მიზანი აუდირებაა, მაგრამ როგორც საშუალება გამოყენებულია კითხვა, ლაპარაკი, კულტურათა დიალოგი. ავთენტური მასალის საგაკვეთილო პროცესში შეტანა ხომ კულტურათა დიალოგის განვითარების ეფექტური საშუალებაა.

შეფასება ხდება სქემის შესაბამისად, რომელიც მოსწავლეებისთვის წინასწარაა ცნობილი.

აუდირების დროს მნიშვნელოვანია მოტივაცია. მოტივაციის ასამაღლებლად აუცილებელია აუდიოტექსტის სწორად შერჩევა. რთული აუდიოტექსტი უკუჩვენებას იძლევა, რადგან მოსწავლეებს ეკარგებად წარმატების რწმენა, ასევე არასასურველია ძალიან მარტივი ტექსტის შეტანა კლასში. სასურველია აუდიოტექსტის თემის შერჩევა მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესის შესაბამისად.

ტარიელ კალანდაძე
სსიპ ქალაქ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის დირექტორი, რუსული ენის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ლამარა ჩინჩალაძე, უცხოური ენის სწავლებისა და სწავლის თანამედროვე სტრატეგიები, მერიდიანი. თბილისი. 2008 წელი.
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სატრენინგო მასალები:
ა. რუსული ენის სტატუსი საქართველოში. Tpdc. თბილისი. 2015 წელი.
ბ. Особенности методики РКИ. Tpdc. თბილისი. 2014 წელი.
გ. აუთენტური მასალა რუსული ენის გაკვეთილზე. Tpdc. თბილისი. 2016 წელი.
3. მ. ლორთქიფანიძე, ი. ჩხეიძე, თ. ჩიმაკაძე, რუსული ენა – სV. არტანუჯი. 2016 წელი.

სასკოლო აქტივობა

ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ...

12 აპრილს, თბილისის №203 საჯარო სკოლაში (სმენის არმქონე და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა), ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“ ფარგლებში, გაიმართა პრეზენტაცია – „ერის ბურჯი – იაკობ გოგებაშვილი“. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ქართული ენის დაცვის ამსახველი მასალები.

კვირეულის ფარგლებში, ჩატარდა კონკურსი „საუკეთესო კალიგრაფი“ და გამოვლინდნენ გამარჯვებულებიც.

ყველა აღნიშნული აქტივობა დაგეგმა და განახორციელა ქართული ენის კათედრამ, რომელსაც ხელმძღვანელობს **სოფიო ჩიბირაშვილი**. ქართული ენის პედაგოგებმა: **მარინა თავაძემ**, **ნატო ვარდოშვილმა** და **ნინო ქამუშაძემ** კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ქართული ენა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სხვა ხალხთა ენებს შორის.

ღონისძიების შემდეგ სკოლის მოსწავლეებმა დედა ენის ძეგლთან, ქართულ ჟესტურ ენაზე, ქართველი პოეტების ლექსები ნაიკითხეს. განხორციელებული აქტივობების შემდეგ, №203 საჯარო სკოლის დირექტორმა **ნინო მეტრეველმა** ქართული ენისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებსა და კონკურსებში მონაწილე მოსწავლეები სიგელებით დააჯილდოვა.

სსიპ ქალაქ თბილისის №203 საჯარო სკოლის ქართული ენის კათედრა

ინკლუზიური განათლება

თანაბარი შესაძლებლობა ყველა ბავშვისთვის

„ინკლუზია“ ინგლისური სიტყვაა და მისი პირდაპირი თარგმანი ქართულად „ჩართვას“ ნიშნავს. ეს ცნება ისტორიულად მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა განათლების უფლების დაცვის კონტექსტში. დღეისათვის ინკლუზიამ კი ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა. ის ეფუძნება ისეთ ჰუმანისტურ ფასეულობებს, როგორიცაა მიმღებლობა, თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობა.

ინკლუზიური განათლების მიზანია ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, თანატოლებთან ერთად ისწავლოს და მიიღოს ხარისხიანი განათლება. ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სრულუფლებიანი წევრია. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში. სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში, ყველა მოსწავლეს ეძლევა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა.

სტატისტიკის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დედამიწის მოსახლეობის თითქმის მეათედ ნაწილს შეადგენენ. მიუხედავად ამისა, ეს ადამიანები, უმეტეს ქვეყნებში, უმცირესობაში იმყოფებიან – მათი უფლებები უმრავლესობის მხრიდან, როგორც წესი, იგნორირებულია. დროთა განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჯგუფებმა თავად დაიწყეს ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად. ამ ბრძოლის ერთ-ერთი შედეგია საქართველოში ინკლუზიური განათლების განვითარება.

დეკლარაცია, რომელიც საქართველოში ინკლუზიური განათლების საგანმანათლებლო სივრცეში დანერგვის საფუძველს ქმნის, 1994 წლის ივნისში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენციაზე დამტკიცდა. სალამანკას დეკლარაცია ეყრდნობა შემდეგ ძირითად დამოკიდებულებებს: ყველა ბავშვს აქვა უფლება, რომ მიიღოს განათლება, შესაბამისად, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ მიაღწიონ განათლების გარკვეულ დონეს. ყველა ბავშვს აქვს უნიკალური პიროვნული ნიშნები, ინტერესები და უნარები.

შესაბამისად, განათლების სისტემა მოწყობილი უნდა იყოს იმგვარად, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებდეს სხვადასხვა ტიპის განსხვავებებს ინდივიდებს შორის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს აქვთ უფლება, იარონ საჯარო სკოლებში, სადაც პედაგოგიკა არის მოსწავლეზე ორიენტირებული და ითვალისწინებს მის საჭიროებებს. დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ საჯარო სკოლები, ინკლუზიური ორიენტაციით ყველაზე მეტად უწყობს ხელს ტოლერანტული საზოგადოების ფორმირებას. ასეთი სკოლები უზრუნველყოფს ბავშვების უმრავლესობისათვის ეფექტური განათლების გადაცემას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ქვეყნის მდგომარეობაზე.

რაც შეეხება საქართველოს დამოკიდებულებას მიმდინარე რეფორმის მიმართ, 2006 წლიდან ეს საკითხი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი გახდა, 2013 წლის თებერვლიდან კი ინკლუზიური განათლების მოდელით სწავლება, შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებად განიხილება.

მაგრამ, საინტერესოა როგორ მოხდა საქართველოში ზემოთხსენებულ რეფორმებთან და მიდგომებთან საზოგადოების ადაპტაცია? ექსპერიმენტი რომ ჩავატაროთ და მოსახლეობას ვკითხოთ, რას ნიშნავს ინკლუზიური განათლება, უმრავლოსობა პასუხს ვერ გაგვცემს და საქმე მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობის უცოდინრობაში არ არის. ქართული საზოგადოება კვლავაც ძალიანა გამიჯნულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისგან. ამის მიზეზი ისიცაა, რომ „ინკლუზიურად“ წოდებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, განსაკუთრებით ბავშვები, არ იყვნენ ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებასთან, ისინი, უბრალოდ, გარეთაც არ გამოყავდათ.

შესაბამისად, ქართულ სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვამ, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნამ მთელი რიგი პრობლემები წარმოშვა: მშობელთა უკმაყოფილება, მასწავლებელთა არასათანადო კვალიფიკაცია და მზაობა, შესაბამისი რესურსების არქონა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განსხვავება მოითხოვდა განსაკუთრებულ მიდგომებს. მშობლები და ასევე მასწავლებლებიც შიშობდნენ, დაეთმობოდა თუ არა თითოეულ მოსწავლეს თანაბარი დრო და საშუალება საკუთარი შესაძლებლობების გასავითარებლად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი გარიყულად ხომ არ იგრძნობდა თავს, ცალკე მერხთან დაჯდებოდა და არავის არაფერს შეეკითხებოდა. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევებიც ხშირია, ისევე როგორც მათი ჩაგვრის ფაქტები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ხშირად არიან დაცინვისა და ძალადობის მსხვერპლნი.

აქედან გამომდინარე უკიდურესად მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ინკლუზიური განათლების დანერგვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ჩვენ უნდა გავაანალიზოთ რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების სწავლა საჯარო სკოლებში განაპირობებს: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის სოციალურ ინტეგრაციას, აუმჯობესებს მათ მეტყველებას, მათ აუმაღლდებათ თვითშეფასების გრძნობა. ჯანმრთელი ბავშვები კი ეჩვევიან განსხვავებების მიღებას და პატივისცემას, ისინი უფრო ემპათიურები ხდებიან და მეტად ეხმარებიან ერთმანეთს, უძლიერდებათ ტოლერანტობის განცდა და, უბრალოდ, უკეთესი პიროვნული თვისებების მქონენი ხდებიან. ინკლუზიური განათლების დანერგვა უზრუნველყოფს არა მხოლოდ ერთი ან ორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განვითარებას, არამედ, იმავე კლასში მყოფი სხვა მოსწავლეების ცოდნის გაღრმავებას.

ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად წარმოადგენს განხილვის საგანს როგორც მოსახლეობაში, ისე აკადემიურ სფეროში. საკითხის ასეთი აქტუალურობა გვიბიძგებს სათანადოდ გავაანალიზოთ გამოწვევები, რომლის წინაშეც დღეს ინკლუზიური განათლება დგას. ასევე დავფიქრდეთ, თუ რა პერსპექტივა აქვს ამგვარ განათლებას თანამედროვე, სწრაფად ცვალებად მსოფლიოში.

რაც შეეხება ჩემს, როგორც მასწავლებლის გამოცდილებას ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით, მინდა მოგახსენოთ, რომ სკოლაში გვყავს ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე. მასთან მუშაობის დაწყებამდე ვშიშობდი, რომ არ ვიყავი კომპეტენტური სასწავლო პროცესის სწორად წარსარმართად. ამიტომ, დავინტერესდი და გავეცანი შეზღუდული შესაძლებლობების პირებთან მუშაობის პრინციპებს, გავითვალისწინე პროფესიონალთა გამოცდილებები და რჩევები. სპეციალურ მასწავლებელთან ერთად შევადგინე ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, დავისახე როგორც გრძელვადიანი, ისევე მოკლევადიანი მიზნები. ვისწავლე, თუ როგორ დავიცვა მასთან ემოციებისა და ყურადღების სწორი ბალანსი. ამ ეტაპზე სასწავლო პროცესი საკმაოდ შედეგიანად მიმდინარეობს.

სწორედ, საკითხის აქტუალობამ და ქართული საზოგადოების ახალი გამოწვევის წინაშე დგომამ განაპირობა მოცემული სტატიის თემატიკა. ჩვენ ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ინკლუზიური საზოგადოება ღია საზოგადოებაა, მისთვის მიუღებელია დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით, იგი მიისწრაფვის შექმნას პირობები პიროვნების თვითრეალიზაციისა და ინტეგრაციისათვის. მთავარია, ჩვენ ვუყურებდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არა როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების მზრუნველობის, ქველმოქმედების პასიურ ობიექტს და პაციენტს, არამედ, როგორც პიროვნებას, რომელმაც უნდა მიიღოს განათლება, დასაქმდეს, მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია. გახდეს საზოგადოების აქტიური წევრი და შეძლოს დამოუკიდებელი ცხოვრება.

ნინო დოლონაძე
ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი,
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვიტირის საჯარო სკოლა

გამოყენებული ლიტერატურა
1. გაგოშიძე, ჭინჭარაული, ფილაური, ბაგრატიონი, „ინკლუზიური განათლების პრინციპები“, გამომცემლობა „ნეკერი“, 2008წ.;
2. http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1730;
3. http://mes.gov.ge/content.php?id=289&lang=geo;
4. library.exe?... www.nplg.gov.ge/.../.

ინფორმაცია

ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში

საქართველოს ვიცე-პრემიერი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა**, ოფიციალური ვიზიტით, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. ვიზიტის პირველ დღეს, საქართველოს ვიცე-პრემიერი, საქართველოს ელჩთან ამერიკის შეერთებულ შტატებში **დავით ბაქრაძესთან** ერთად, აშშ-ს განათლების მდივანს, **ბეტსი დევოსს** შეხვდნენ.

განათლების მდივანმა საქართველოში მიმდინარე რეფორმების მიმართ დიდი ინტერესი გამოხატა, შესაბამისად, ალექსანდრე ჯეჯელავამ მას მთავრობის მიერ განათლებისა და მეცნიერების სფეროში დაგეგმილი ის რეფორმები გააცნო, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში აღნიშნული სფეროების თანამედროვე სტანდარტებზე გადაყვანას. მხარეებმა ორმხრივი პარტნიორობის პერსპექტივებზეც ისაუბრეს.

ალექსანდრე ჯეჯელავამ შეხვედრები გამართა აშშ-ს საახელმწიფო დეპარტამენტსა და აშშ-ს განვითარების ფონდში (USAID), ასევე შეხვდა მსოფლიო ბანკისა და ბილ და მელინდა გეიტსების ფონდის წარმომადგენლებს. გამართულ შეხვედრებზე, მხარეებმა საერთაშორისო პრაქტიკა, გამოცდილება და განათლების ინოვაციური მეთოდიკა განიხილეს. მინისტრმა ასევე წარმოადგინა საქართველოს მთავრობის ახალი ხედვა და დაგეგმილ რეფორმებზე ისაუბრა.

ალექსანდრე ჯეჯელავა: *„ჩემს ახლანდელ ვიზიტს ორი მდებარეობა აქვს – ერთი არის ვაშინგტონი და მეორე – სან-დიეგო. სან-დიეგოთი დავიწყებ, დაგეგმილი გვაქვს შეხვედრები სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან. მოგეხსენებათ, რომ სან-დიეგოს უნივერსიტეტი თბილისში ერთ-ერთი მოწინავე უცხოური უნივერსიტეტია და, შესაბამისად, ამ პროექტის განვითარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განათლების რეფორმის ფარგლებში. პროგრამა „ვისწავლოთ საქართველოში“ გულისხმობს მეტი საერთაშორისო პროგრამის სწავლებას საქართველოში, ქართველებისთვისაც და უცხოელებისთვისაც. ეს არის ჩემი ვიზიტის მეორე ნაწილი.*

პირველი ნაწილი ვაშინგტონში იმ უწყებების ხელმძღვანელებთან შეხვედრებია, ვინც უშუალოდ არიან ჩართულები, განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით, ჩვენთან პარტნიორობაში – USAID აშშ-ს განვითარების სააგენტო, აშშ-ს განათლების დეპარტამენტი. შევხვდით ბილ და მელინდა გეიტსების ფონდის, ასევე სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს და ყველა იმ პარტნიორს, რომელიც ხელს გვიწყობდა და გვიწყობს საქართველოს განათლების სისტემის განვითარებაში.“

„ჩვენ არ ვცხოვრობთ უსაფრთხო სამყაროში და მითუმეტეს საქართველო, რომელსაც ძალიან საშიში სამეზობლო ჰყავს. ამ გამოწვევების ფონზე, ძალიან კარგად ჩანს, თუ როგორ გვჭირდება ერთობლივი მუშაობა. ჩემი საქართველოში მოღვაწეობის წლინახევრის განმავლობაში, მე მხოლოდ საქართველოსა და ამერიკას შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას ვხედავ.“

იან კელი
აშშ-ს ელჩი საქართველოში

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6.50 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესასრულებელი სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**. **კალენდარს ახლავს** შესასრულებელი გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

სიახლე

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა

წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“

წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 17.70ლ

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე



ერთი ტომის ფასი – 9 ლარი

თემატური ენციკლოპედია „რა არის რა“

- ქიმია
- მეცნიერებები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- კრიმინალისტიკა
- არქიტექტურა
- ევროპა
- უძველესი ადამიანი
- მეკობრეები
- ჯანსაღი კვება
- ამინდი
- ოლიმპიური თამაშები

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)



4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >